J 3658
2

ამოდის, ნათდება!

და

სხვა მოთხრობები

ალეკ-ფშაველასი.

ტფილისი.
სტამბა «ცნობის ფურცლისა» (ვ. ბუნიათი).
1898

Дозволено Цензурою, 4-го Мая 1898 года. Тифлисъ.

ამოდის, ნუ დაიგვიანებთ!

(მოთხრობა)

ვინ ამბობდა ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულ-შეხუთულია, ისე შებოჭილი, რომ დედა მიწის ძვლებს ჭყრიალი, ჭახჭახი გააქვს. ბუნება თითქმის კუბოში წევს, სუდარაში გახვეულა. არაფერი ხმა, არც მოძრაობა, არც ცელქის მთის ნაკადულის ჩხრიალი არსად ისმის. ნიავიც განგებ შეჩერებულა, რომ არ დაარღვიოს გარეშემო მშვიდობიანობა, არ დაუშალოს ბუნებას ძილი, განსვენება. ტყე დაბარდნილა თოვლით, ხეებს ტანი და ტოტებიც ღარ ეტყობათ... აი ამ დროს ერთ კურუმს გორაზე მგლის ჯოგი გროვდებოდა. ზოგნი მოსულიყვნენ ადრე და სხვების მოლოდინიც ჰქონდათ. ყმუილით, ნელის ბოხის ხმით აუწყებდენ ამხანაგებს: „მოდით, ნუ დაიგვიანებთო!“.

ქვეიდან, შორს სოფლიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა; სახლებიდან ამონადენი ბოლი ნისლათ, ჯანღათ ზედ გადასწოლოდა სოფელს

საბნათ ეხურა, მაღლა ცა გავარვარებული, ვარსკვლავებით მოჭედილი, ხოლო პირ-მოკუმული, გაშტერებული დასჩერებოდა დედა-მიწას.

მგლები ამაღამ სოფელს უნდა ესტუმრონ — ესაა მათი ფიქრი და განზრახვა. თავ[illegible] იმიტომ იყრიდენ ერთათ, რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საჭმელი. ერთი კვირაა მშივრები დალასლასებენ, მიწასაც კი ვეღარა თხრიდენ საჭმელათ თოვლისა და ყინულისაგან. მოგროვდენ, დიდი ჯოგი გაკეთდა, ყველანი კბილებს აკაწკაწებდენ, შიოდათ, ძალიან შიოდათ! ერთმანეთს ათვალიერებდენ და ნატრობდენ, ერთს მეორის ტანზე ერთი წვეთი სისხლი მაინც შეენიშნა, რომ ამით საბუთი ჰქონოდათ ძგერებოდენ და თვისი თანა-მოძმე ლუკმა-ლუკმა გაეგლიჯათ. რომელს ერთს ეყოფოდა ერთი მგელი, თითო ლუკმა ხომ არც კი შეხვდებოდათ! არა, ცოტათი მაინც შიმშილის ჟინს მოიკლავდენ.

საგულისხმო სანახავი იყო ამ დროს [illegible]ბის კრება: ზოგი იწვა თოვლზე, სხვა დაყენტებულიყო, რიგიც იდგა ფეხზე კუდებ-დაშვებული, ხოლო ყველას პირები ჰქონდა დაღებული. ასე თათბირობდენ თარეშის ლაშქრობის შესახებ.

— კარგი დრო გავიდა, კარგი, ბიჭებო! როგორ ბნელა! აბა, ვ ისაც იმედი აქვს თავისა, ეხლა უნდა ეცადოს, — ამბობდა მოხუცი მგელი ტოტია.

— ოღონდაც, ოღონდაც, — თქვა მეორემ, — თუ სხვას ვეღარას მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ. ხომ იცით ჩემი ამბავი? თქვენ ჩაგასაფრენ[illegible], მე გამოვიტყუებ, გავუთამაშებ, ჩავუკვ-დებ[illegible]ები ქედანას, შემოგაგდებთ ზედ და მაშინ თქვენ იცით როგორც გაირჯებით!

— რა შვილებმა არ ვიცით ჩვენც, როგორ უნდა ჭაბა ლეშისა. — თქვეს სხვებმა სიცილით. თათბირობდენ ფარეხის გატეხაზე. ცხვრის ბოგონებაზე ყველამ დაღებული, ცეცხლით ანთებული ლაშები უფრო დააღეს და ნაკვერჩხლებათ გამოაჩინეს დიდრონი კბილები. გაჰკრეს, გაუსვეს კბილი-კბილს: აჩქამდა კბილები და საერთო, საშინელ ცეცხლათ დაენთო, არე-მარე გაანათა.

აიშალენ იმ იმედით, რომ გაძღებოდენ, დაეშვენ თავქვე, წინ ჩაუძღვათ ტოტია, წალიკი დაეკრეს გორის პირს—ჩამოწკრივდენ, იმედი უღვიოდათ გულში, მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლა. რასაც არ მოელოდენ ის მოხდა; მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა, იშლებოდა; წელი მოსწყდათ. რა მოხდა განა ასეთი? ამათ სიბნელის იმედი ჰქონდათ ხომ, მაგრამ ცოტათ შენიშნეს რომ აღმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა. ყველანი შეჯგუფდენ ერთად და მოიყარეს იქით თვალები. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოჰყო. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა,

ბნელი კუნჭულები; გაანათა ჯურღმული. შე-
ჯგუფებული მგლები ბრაზ-მორეულნი იძახდენ:
„ამოდის, ამოდის, ნათდება!“ მთვარისაკენ მი-
პყრობილ მგლების თვალებიდან ზიზ[illegible]ლ-
ვილის ძიების ისრები იყო გაძაფულ[illegible]ბგორ
სწყეველიდენ მის ამოსვლას!

ვაგიხმეს ფეხი, ვაგიწყრეს ღმერთი! ვაი
შენ, ვაი შენ გაჩენის დღეს!—ამბობდნენ მგლები
და თან კბილებს ულრჭენდნენ: „ახ ნეტავი, ხელ-
ში კი ჩაგვაგდებინა, შეგვაჭამა, რომ მოგვესპო
მაგისთვის სიცოცხლე“. ყველაზე უფრო წყრებო-
და, ბორგავდა ერთი ბებერი მგელი.

– ბევრჯელ მომიკალ ბული,—ამბობდა იგი,
—ბევრჯელ დამაღონე შე წყეულო, შე შეჩვენე-
ბულო: ბევრჯელ დამაღონე, გამიმწარე სიცოც-
ხლის დღენი. ბევრის ცხოველის სისხლით ბევრჯელ
შევიღებე ცხვირ-პირი, ტოტები და მკერდი; მთელ
ორ კვირას დავუშვენებივარ ამ სისხლსა და ჩემ
ტანზე მისი დანახვით სიყმილის ჟინი მომიკლავს.
ნეტავი, მთვარე, ერთხელ შენთვისაც გამესვა ჩემი
ბასრი კბილი, ნეტა შენის[illegible]სისხლითაც დაეშვენებინა
მხარ-ბეჭი და თათები ლეგ-ჩობა ბიჭს ტოტიას,

დანარჩენებიც ამასვე ფიქრობდენ, კვლავ ლაშ-
დაღებულნი და შეჩერებოდენ მთვარეს. მთვარე
კი ამოდიოდა ზევით და ზევით, [illegible]ომაღლდა ცა-
ზე; გაანათა ტყეში ხისა და ლდის ძირები, ბნე-

ლი ხევები, აგრეთვე გაანათა ასოფლათ ბნელი კუნჭულები ციხე-კოშკებისა და ძველთა შენობათა ნანგრევებისა, სასაფლაოს შავ ქვებს თავის სხივის სანთელი დაუნთო; მადლიანათ და ცხოვლათ [illegible]ებოდა სასაფლაოც-კი. გაცრუვდა ყოველი იმედი დავლისა, თარეშობისა. დღის სასწორი ღამეა. რაღა ქნან? იმედი გადუწყდათ, სასოება დაჰკარგეს, ერთმანეთს-ღა დაუწყეს თვალიერება; ფიქრობდენ, არჩევდენ ვინ არის ჩვენში სახარჯი, შესაჭმელიო. ერთი მზათ იყო მეორეს ძგერებოდა და შუაზე გაეგლიჯა.

მოხუცი ტოტია, თავ-პირ დასიებული ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გართული; იმას ბევრი შიმშილი უნახავს და ბევრი ვაება გამოცდია, მაგრე რიგათ იმიტომ არ იყო შეწუხებული. ახლაც სხვისა იმედით ნადირობდა; ახალგაზდა მგლები უზიარებდენ იმას საზრდოს.

— ტოტიავ, ეი, არ გესმის!? რას გარინდებულხარ, ვერა ხედავ რა ამბავია? ვიღუპებით შიმშილით, ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა. რასა სწერს შენი კარაბადინი, ბიძიავ?—უთხრა მას ერთმა მგელმა და თან ტოტი გაუქნია თავში.

— რას ჩადი, შე ბრიყვო, შე გაუზდელო ვირო?! თქვა წყრომით მოხუცმა მგელმა. სხვა მგლებმაც ყურები აცქვიტეს, —იგრძნეს საქმის ვითარება.

— ჰო და რა?! იღრიალა ყველამ ერთად: ძალიან კარგათ გიშვრება, შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა. კბილი გა..სვით მაგას, კბილი; ეს სინათლე სულ მაგის ბრალია! ღმუოდენ ყველანი. დიდს ხანს ალარ აცალეს და თათებს კბილებიც მიაშველეს...

— ბიჭო, ჭკვიანათ, ჭკვიანათ! რას ჩადით, თქვე ბრიყვებო? ღმუთუნებდა ტოტია და უღრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა? ერთ წამში გათავდა ტოტიას სიცოცხლე; ლეშთან ერთად გათავდა მისი სულიც. ბეწვიც აღარსად ეგდო იმის მრავალტანჯულის ტყავისა. ოდნავ თუ სადმე ნასისხლარს შეამჩნევდით, ის იყო. მგლებს ცოტათ გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს ერთმანეთს, შეეშინდა ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ ახლა მე არ შემჭამონო. შეეშინდათ და გაფრთხენ. ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭყრიალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა და იქიდან, როგორც დარაჯი უფრთხობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოღნენ უგზო-უკვლოთ ტყეში და ყველას პირზე ეკერა: „განათდა. განათდა!“.

დათვი

(ამბავი)

I

ყველამ იცის, რა ცხოველიცა ბძანდება დათვი: თავ-დიდი, კბილ-დიდი, კუდ-მოკლე, ბანჯღვლიანი, სვლეპია-ტვლეპია, მსუნაგი, გაუმაძღარი და ქურდი. მხოლოდ ერთი აზრი აწუხებს დათვსა—რა შესვას, რა შეჭამოს. საჭმლისთვის შორით დაიყრის სუნსა და გასწევს კიდეც. არაფერი არ გამოუვა ხელიდამ მზა-მზარეულად ჭამის მეტი.

წინაპირველად, რა წამსაც-კი გამშრალს ნაძოვარზე ამოვა ჩადუნა. შუპყა, კენკეშა, ან ჭინჭარი, დათვმა უნდა იგემოს. სიამოვნებისაგან გაელიმება, ტუჩებს ენით გაილოკს, თავისებურად, დათვურად ღმერთს ვითომ მადლობასაც ეუბნება, რომ იმან ზაფხული მოჰგვარა და სანოვაგე გაუჩინა. ხანდახან, ნამეტნავად მაშინ, როცა გამაძღარია, სიმღერასაც-კი შემოსძახებს.

ჰფიქრობს დათვი და რას ჰფიქრობს? ამა და ამ ადგილს სიმინდი სთესიაო, ამა და ამ ად-

გილს კაი პანტა სდგასო და სხვა. ჰფიქრობს დათუნა და ამ ფიქრის დროს გოგრის ტოლა ნერწყვსა ჰყლაპავს...

რა ამაგი გაქვს ან სიმინდზე, ან პანტაზე, ან რკოზეო, რომ ჰკითხოთ, ღმერთმა მოშმცაო, გიპასუხებსთ. სჭამს და სვლეპს დათვი, სვლეპს და სდღვლეფს და გასუქდება ისე, რომ ზაფხულში მოკრული ქონი ზამთარშიაც-კი ჰკვებავს დათუნას, როცა იგი გულ-აღმა გდია თავის სოროში: სიარულიც-კი აღარა სჭირდება საჭმლის საძებრად. ხან-და-ხან ცოტას თუ გაილოკს ხვნეშა-კვნესით, ბაგრამ არა საჭიროების გულისთვის, არამედ სიამოვნებისთვის.

ყველაზედ მეტად კაცს გულს ის უკლავს, რომ დათვს თავისთანა დედამიწაზე აღარავინა ჰგონია: ყველაფრით შემკობილი, ყველაფრით სრული და ბედნიერი ჰგონია დათუნას თავი. დადის ამაყად, დარბაისლურად, თავ-ბოწონებით. ყოფა-ქცევა აუჩქარებელი აქვს, სიჩკვიანის ნიშანიაო. ტანის მოუქნელობა და მოუხერელობა დარბაისლობის გვირგვინიაო. ცარცვა, ტაცება და ქურდობა ბადლი ჰგონია. ამიტომ არ დასდევს და ჩასდებს, თუ ხელში მოიგდო ცხვარი ან ძროხა,—ჩასდებს და ზედ ხერგს მიაყრის. შეაბოტებს, გადაიმტვრევა სიმინდში, დაუწყებს ლეწვა-მტვრევას ტაროებს.

რასაც სჭამს, ხომ სჭამს, რასაც არა და ფეხითა სთელავს, ჰგორავს, თამაშობს სიმინდში.

„დათვია სიმინდშიო“, ისმის ხმა სოფელში: „გააფუჭა, გაატიალა მაგ ვერანამ სიმინდებიო“, მაგრამ **ხმას**-კი ვერავინ გასცემს დათვს.

ეს იცის დათვმა, თამამად კიდეც იმიტომ იქცევა. ხშირად-კი დათვსაც ამოშხამდება ხოლმე ბუმბერაზობა: ღვთის მადლით და წყალობით სოფელში თითო-ოროლა კისერ-ჟანგიანი, სვილისფერა ბიჭი არ გამოწყდება. ეს ბიჭი თუ გაივლებს ხოლმე გულში დათვის ჯავრის ამოყრას, თორემ სხვა არავინ. ჩამოიღებს კაჩხიდამ 'შავი ბიჭი მამაპაპურს ჩაზვირს და ჩაუჯდება სიმინდის პირში, საყუჩში, და აჰკიდებს სიმინდის მტერს ცხელ ტყვიას. უყურეთ მაშინ დათვის ღრიალს, იმის ბობოქრობას, ბუზღუნს, ლანძღვა-გინებას. იჯავრებს ოხერი და თითონაც თან გადაჰყვება ჯავრსა და ბოროტს. მხოლოდ ეხლა შეინანებს დათვი ცოდვას.

დათვს მაინც ისეთი ხასიათი აქვს: მინამ მას ცხვირში არ მოჰხვდება, მანამ არ მოვა გონსა, არ იფიქრებს, ცუდი საქმე ჩამიდენიაო... დათვს არა ჰგონია, მოვკვდები, მეც მომრევი მყავსო, მანამ კვდომას არ დაიწყებს და მანამ მომრევი არ გამოუჩნდება; არა ჰგონია მეტკივნებაო, მანამ არ ატკივნებ და როცა ატკივნებ, მაშინ-კი ღრიალებს...

II

ერთხელ, ~~ერთ დროს~~, ერთს სოფელში, გაჩნდა დათვი, გაატიალა სიმინდები, გაზიდა ხარები, ცხვარი, ძროხა. კამეჩებს იკიდებს და მიაქვსო, ამბობდნენ სოფელში. რამდენიმე კაციც დაბეგვა. ამ ნაირს დათვს ბაბრი ჰქვიან: ჩვეულებრივს დათვზე მეტია, ბარე სამჯერ და ოთხჯერ. ერთი რაღაც მოთანთხლილი, საძაგელი არსებაა. მყრალი, გაუმაძღარზე გაუმაძღარი. აბა კიდეც ეს ბაბრი შეეჩვია სოფელს და ადინა მტვერი... სოფელი შეძრწუნებული იყო. გაიმართა დიდი სჯა, დიდი საუბარი, თუ როგორ ეშველა და მოევლო სოფელს თავისათვის. მიმართა სოფელმა მონადირეებს.. ხალხი შეეხვეწა გიგოლას, გამოჩენილს მონადირეს... გიგოლა სამოცის წლის კაცი იყო, მაგრამ ნადირობას მაინც კიდევ არ იშლიდა. დათვის ოინები გაგონილი ჰქონდა და ემზადებოდა მარტო შებრძოლებოდა. ხალხი მიქუჩდა გიგოლას სახლის კარებთან.

— ოჯახის პატრონო! შესძახა ხალხმა გარედგან.

— მობძანდით, ვინა ხართ? გამოსძახა გიგოლამ.

— ჩვენა ვართ — შენი ძმები და მეზობლები.

ხალხი შექუჩდა გიგოლას ქოხში. გიგოლა

კერაზე იჯდა, კალთაში ედო თავისი სიათა და სწმენდდა.

— ჰაი, შენი ჭირიმე, გიგოლი, შენი, დასძახა ხალხმა თავზე: ისევ შენ თუ გვიშველი რასმე, თორემ საქმე გაჭირდა; ერთი შენებური ჯეილობა კიდევ მოიგონე და რაც იქნება, იქნეს.

— რა ამბავია, სად ემზადებით. კაცნო? შეეკითხა გიგოლა.

— როგორ თუ სად? ი დათვ-ტიალამ რომ გაგვაჩანაგა, მაშ ხმა არ ამოვიღოთ, ხელი არ გავანძრიოთ?! იძახოდა ხალხი თამამად.

— ოღონდაც, ოღონდაც, სთქვა გიგოლამ; აქამდისაც უნდა გვეფიქრა რამე. სირცხვილია, სხვა რომ არაფერი იყოს. კაცო, რა გაგვიხდება მთელს სოფელს თუნდა ოცი დათვი, განაღამც ერთი. მართალია, დავბერდი, მაგრამ კიდევ, როგორც იქნება, მოვაწევ, მოვათრევ მუხლებს დათვის სორომდე... იცით-კი საით მხარეზე ეგდება, სად ექნება თეგრი?

— ოჩოჩას ველის პირში რომ წყარო არის და წყაროს იქით ივლიანი გოსალაა, სწორეთ იქა გდია ის დათვი, სთქვა ერთმა.

— რას ამბობ, ბიჭო, იქ რა უნდა, შეუტია პირველს მეორემ: იქ რა უნდა, აზირ მე მკითხო, შვილოსან, ის დათვი საცა არი? ის დათვი წორეთ, წორეთ, გიგოლი, დიდი მზვარის ბოლოს რომ ტაფობია, იქა გდია, განაგრძო მეორემ.

— ერთიცა სტყუით და მეორეც. ეს უფრო ყველაზე მართალია, სთქვა მესამემ: ის დათვი ფლატეებში უნდა ეგდოს.

— თქვენ როგორლა ლაპარაკობთ, ხალხნო, სთქვა ქიტესამ, რომელიც მონადირე იყო, თუმცა გიგოლას-კი ბევრში ჩამორჩებოდა: თქვენი ლაპარაკიდამა სჩანს, ის დათვი ყველგან უნდა იყოს. ხალხმა ამ სიტყვაზე სიცილი ასტეხა. გიგოლა ჩუმად იყო და გულიანად უსომდა დუმას ჩახმახსხმის ამოუღებლობა აღარ გამოდგებოდა, ბაასი დიდხანს გაგრძელდებოდა, ამიტომ გიგოლაც ჩაერია საუბარში.

— კაცებო, რა გაჩხუბებთ და გალაპარაკებთ ბევრს?!. სთქვა გიგოლამ. მე მომყევით, თითონ გასწავლით, დათვი სადაცა გდია... ზოგი ტაფობს ამბობთ, სხვა სოროს... იმ ტაფობში, რომელსაც სოსიკა-ბიჭი ამბობს, თავის დღეში არა წოლილა დათვი: ამ ტყეებში დავბერდი, მე იქ დათვი არ შემხვედრია. ზაქარა იძახის ფლატეს, მითომ სოროში იწვეს?! არ მოკვდეს გიგოლა, ჯერ დათვი სოროში არ დაწვეს. რას ამბობთ, ხალხნო, ჯერ კიდევ შემოდგომაა, საქმო ბევრია, რა შეიყვანს დათვს სოროში!..

ხალხი პირ-შეუბრუნებლად ისმენდა გიგოლას სიტყვებს, როგორც გამოცდილის მონადირის რჩევას.

— სადაც შენ იტყვი, გიგოლი, იქ წავიდეთ, სთქვა ხალხმა: შენ უკეთესად იცი ნადირის სადგომი ადგილები, გასავალ-გამოსავალი გზები. სად უნდა ეგდოს დათვი, როგორა გვონია, გიგოლი?

— ჩემის ფიქრით, სთქვა გიგოლამ და თან ჩაახველა, ფიჩხიანში უნდა ეგდოს.

— ეჰე, როგორ გაიგო, კაცო, მკითხავი ხარ არა ხარ!? სთქვა სიცილით თევდორამ და თან მარჯვენა ხელით ისწორებდა თავზე განახევრებულს ტყავის ქუდს. ეს ქუდი თევდორას მარტო კინკრიხოს უმალავდა და კეფის მხრივ მშიერი მგელივით პირი დაეღო. ამ თევდორას ნატყვევარს ეძახდნენ, რადგან ოცი წელი ლეკების ტყვე იყო. თევდორა მოხნიანებული კაცი იყო, მაგრამ ლურჯ თვალებს ცეცხლივით ანათებდა და მთელის საათის განმავლობაში ერთხელ არ დაახამხამებდა. სოფელში სამს ნაბადზე მარტო თევდორა ხტებოდა.

— გიგოლა მართალს ამბობს, განაგრძო თევდორამ: ჩვენებიანთ გოგო-ბიქებს გუშინ-წინ ფიჩხიანში ენახათ დათვი, ზღმარტლზე ყოფილიყვნენ. ფიჩხიანიდამ წამოვიდაო, სთქვეს, მოაბარტყუნებდა, ტყე და ველი ფეხით მოჰქონდა, მოდიოდა და თანაც მოხვნეშოდა, მოკვნესოდაო. შეშინებულებს კალათები გადაესროლათ და, აბა ვინ წინა და ვინ უკან, დედიშობილები მოცვივდნენ სოფელში თავ-პირ-გადამტვრეულები და გადაკაწრულები: ვის

ცხვირი ჰქონდა გატეხილი, ვის თვალი გამოთხ-
რილი, ვის ფეხი ნაღრძობი, ვის ხელი მოტეხილი,
ვის ყური გახეული. გოგრაქამიანთ ბებერი ნახე-
ვარ კაბის ნაგლეჯს ხელით მოათრევდა და ისე
გამარდებულიყო, რომ ყველაზე წინ ის შოვარდა
სოფელში.

— დღეს გვიანღა არისო, სთქვა გიგოლამ:
ხვალ დილისთვის ყველანი უნდა მოემზადნეთ, ვი-
საც წამოსვლა გწადიანთ. მანამ გათენდება, სო-
ფელს უნდა გავსცდეთ, არავინ დაგვინახოს. ნადი-
რობის წესი, თუ გინდა გაიმარჯო, ეს არის.

— როგორც შენ იტყვი, გენაცვალე, გიგო-
ლი, ისე მოვიქცეთ, —სთქვა ხალხმა.

— სწორეთ ეგრეო, სთქვა გიგოლამ: ცისკა-
რი რომ ამოვა, ჩემთან მოიყარეთ თავი თავს, აქე-
დამ მე გაგიძღვებით, ვახსენოთ ღმერთი და წავი-
დეთ. ამდენის სირცხვილის ჭამას, ბარემ ყველანი
დავეჭივნეთ, აღარ დაგვძრახავენ მაინც.

ხალხმა პირობა შეკრა დილისათვის და დაი-
შალნენ ყველანი, თავ-თავის სახლებში წავიდ-წა-
ვიდნენ. ყველამ იარაღს დაუწყო მზადება: ერ-
თი ცალ-ცალკე მოფანტულს ლულას, კონდახს,
ჩახმახსა ჰკრეფდა და სვამდა კონდახში. მეორეს
თოფის ფეხი მოჰშლოდა, ხის ფეხს უკეთებდა. მე-
სამე ლაჩა-ყბებზე კანაფს ახვევდა, ჩახმახს და ტალს
ისე ამაგრებდა, რადგან ბულღი დაეკარგნა; მეო-

თხე კუდს აგდებინებდა სამის წლის გატენილს თოფს და ნაცრად ქცეულს წამალს აყრევინებდა ლულადამ. მეხუთეს ტალი აკლდა და ტალის სათხოვნელად დარბოდა მეზობლებში, მეექვსეს ყველა ფერით გამართული თოფი ჰქონდა და ტყვიაწამალი-და აკლდა; მეშვიდეს სულ დარამად, ყველაფერით მოშლილი თოფი ჰქონოდა, ვედარაფერი გაეწყო და ცოლსა ჰლანძღავდა და ჰქოლავდა, ცოლს, რომელიც უშლიდა ქმარს სანადიროთ წასვლაზ და ეუბნებოდა, ჯერ ჩიტი არ მოგიკლავს, შენ ტყეში ნადირს როგორ მოჰკლავო, რატომ შენს კერაში არა ზიხარო. მერვეს თოფი არა ჰქონდა და დამბაჩასა ჰმართავდა. მეცხრეს არც დამბაჩა ჰქონდა, არც თოფი და ამიტომ ნაჯახსა ლესავდა. მეათეს ნაჯახი არა ჰქონდა, ჭერში შეტანებული მამა-პაპის ნაქონი შუბი მოეგდო, იმასა სწვერავდა, ჰფერავდა და აფხავდებდა პიროფლიანი. მეთერთმეტე დაჰფუძნებიყო წალდუნას, მაგრა მოეპიდა მარჯვენა ხელი ტარზე და მარცხენით ფხას უსინჯავდა. მეთორმეტეს, მეცამეტეს, მეთოთხმეტეს, მეთხუთმეტეს და სხვა და სხვას არ მოეპოვებოდათ მახვილი, ფრჩხილის საკვეთი, როგორც ხალხი იტყვის; ამათ ნათხოვარის იარაღით გამოეჭრათ კეტები და ერთმანეთს ამ ლექსით ებაასებოდნენ:

ვინც რომ ვაჟია,
ჩოხა—ჯაჭვია,
ქუდი ნაბდისა—
ჩაბალახია.

გიგოლა მხნედ, იმედიანად იყო. რა აიმედიანებს გიგოლას? ის, რომ წუხელის კაი სიზმარი ნახა, კაი სიზმარი, ე. ი. დაცდილი სიზმარი. როცა ამ სიზმარსა ჰნახავდა, ცარიელი არა დროს არ დარჩენილა. სიზმარი არც არავის უამბო, რადგან დარწმუნებულია,—სიზმრის ბეზღება, სხვისთვის, სხვისთვის შეტყობინება კარგი არ არისო. რა სიზმარია ის სიზმარი, გიგოლას რომ კარგათ დაუცდია და წუხელი ნახა. გიგოლამ ნახა, რომ გაშლილს სუფრაზე იჯდა, ქეიფი იყო: სმეულობა და ჭმეულობა. გიგოლას ქალმა ჯიხვით ღვინო მიაწოდა სიზმარში და ამანაც გადაჰკრა; ხორცი მოუტანეს, ხორცი ლურთი იყო, მქისე სუნი მოსდიოდა და ის კი არა ჭამა. ეს ამის ნიშანია, რომ გიგოლა მოჰკლავს უწმინდურს ნადირს. გიგოლას ისე იმედი ჰქონდა, რომ ვითომ ხელში სჭერია, წინა სდებია მოკლული ნადირი...

III

დაღამდა ის დღე. სოფელს მიეძინა, ყველაფერი მიყუჩდა. მხოლოდ ძაღლები-ღა წკავ-წკავებენ, ათასში ერთგნით მომჩინარი ქოხებიდამ

ცეცხლის სინათლე თანდათან მინელდა და შემდეგ გაჰქრა სრულიად. მიწვა-მოწვა ხალხი. კატებს მიეცათ ეხლა ნება ცეცხლთან, კერასთან მისვლის... თვალ-დახუჭულებს მიეპყროთ სითბოსთვის გულები, მაგრამ ყველას არა: მსუნაგი კატები რაც იყვნენ, ისინი თაროებს აქოთებდნენ. ამის გამო თუ გაისმოდა ხმა ქოხიდამ: „აცხა“, „აცხაო“!

მამალმა სამჯერ იყივლა, აღმოსავლეთით აღმოხდა ცისკარი და გაუცინა სოფელს. ყველანი, ვინც დათვზე ემზადებოდნენ, ფეხზე დადგნენ. უვლიდნენ ერთმანეთს კარი-კარს და ეძახდნენ: „გაიღვიძეთ,ადექით, ბაჭო დროა დათვზე წავიდეთ“!

გიგოლას იმ ღამეს ტანთ არც-კი გაუხდია, მხარ-თეძოზე შემოწოლილს დაეძინა;კერის პირას... ხალხმა მოიყარა თავი-თავს და მიქუჩდნენ გიგოლას ქოხის კარებთან.

გიგოლამ ხალხის ხმაურობა მალე გაიგონა: ადგა, იარაღები აიხსა. სასწრაფო, საპირისწამლე ყველაფერი მზად ჰქონდა გიგოლას, რაც-კი ნადირობისათვის იყო საჭირო; იმას არც არავისთვის ტალი უთხოვნია, არც წამალი. ახალგაზდურად გამოვიდა ქოხიდამ გიგოლა და მოხდენილად გადიგდო თოფი მხარზედ. ნამეტნავად უხდებოდა წელზე ძველებური, წვერ-შემოკაუჭებული ხანჯალი,

— აბა, ბიჭებო, წავიდეთ. მე მზათა ვარ! სთქვა გიგოლამ დაბალის ხმით, მაგრამ მხნედ და გაბედულად.

ყველანი მიჰყვნენ უკან. ოც-და-ათამდე კაცი წავიდა დათვზე, ნახევარი გზა თითქმის გაიარეს... ყველაზე მეტად ეს დუმილი თევდორას აწუხებდა, იმ თევდორას, რომელიც მთელის საათის განმავლობაში ერთხელ არ დაახამხამებდა თვალებს და განახევრებული ქუდი ეხურა კინკრიხოზე.

— რა მუცელში ენა ჩაგივარდათ, ხალხნო, რატომ არაფერს იტყვით! სთქვა თევდორამ სიცილით: იქნება ყველანი გაგვპენტოს, შვილო, იმ დათვმა. ვსთქვათ მაინც რამე, ან გავიცინოთ, ეს მაიც შეგვრჩება... ხომ ერთი-ორი არ გადავურჩებით დაუბეგვავი და როგორ უნდა გავიგოთ, ვის დაბეგვავს დათვი და ვინ გადარჩება... ძაან მინდა, ვიცოდე, ჩემმა მზემ. მოდი ერთი, ქიტესო, წილი ვყაროთ მე და შენში ვის დაგვბეგვავს დათვი და ვინ მშვიდობით გადავრჩებით, — უთხრა სიცილით თევდორამ ქიტესას.

— ძაან კარგი იქნება, უპასუხა ქიტესამ: აბა რაზე ვყაროთ?

— აი ნაჯახის ტარი. თევდორას ნაჯახი ჰქონდა გარეკილი წელში, გამოიძრო და მოჰკიდა ტარს ძირში ხელი: ვინც ზევით არ მოვა, დათვი იმას დაბეგვსო. ქიტესამ თევდორას ზევით

მოჰკიდა ნაჯახის ტარს ხელი, ახლა ისევ თევ-
დორამ, მერე ქიტესამ. გათავდა ნაჯახის ტარი,
ქიტესა მოხვდა ზევით.

— გერგო, გერგო ქიტესო! დაიწყო თევ-
დორემ სიცილი: რაკი დაგბეგვავს, მადლიანად
მაინც დაგბეგვოს ნეტავი, მე-კი სეირს ვუყურო.

— რა იცი, რომ შენ არ დაგბეგვს დათვი?!
მიუბრუნდა თევდორას სოსიკა-ბიჭი.

— მე რათა, შვილოსან, განაგრძო ღიმი-
ლით თევდორამ; წილი თუ კი არ მერგო, რათ
უნდა დამბეგვოს!?

— წილს რა ჭკუა აქვს, უპასუხეს თევდო-
რას სხვებმა ხუმრობით: იქნება შენ დაგბეგვოს
და ჩაგდოს კიდეც?

— ეჰ, მე ვიცი ცოლ-შვილი ამიტირდება!
დამბეგვოს და დამბეგვოს, რა იქნება, განაგრძო
თევდორამ მამაცად. ლეკებმა მბეგვეს, ჯერ იმათ
ვერ დამბეგვეს, ისევ ის თევდორა ვარ, დათვმა
როგორ უნდა დამბეგვოს!? თუ ღონით ვერაფერს
გავაწყობ, გაქცევა ხომ ჩემი ხელობაა. ბრალი
თქვენი, შვილოსან, რომ ღონეს დათვს ვერცა
ვინ შეუწონთ და გაქცევითაც ვერ გაექცევით.

— მართლაც, კაცო, სთქვა ერთმა: მივდი-
ვართ დათვზე და აღარა ვფიქრობთ იმას, რომ
დაგვბეგვოს ყველანი და ცოლ-შვილის ცოდვა
დავიდოთ კისერზე. რა გვინდა? უნდა თავი და-

გვენებებინა, ერთხელაც იქნება ხომ გადიკარგება სადმე, მოსწყინდება აქ ყოფნა.

— შენ გიჟი ხომ არა ხარ, რას ამბობ კაცო?! სთქვა მეორემ. მაშ უნდა შევარჩინო დათვს ჩემი კვებულა?! მოვკვდე, მაშინ მოვკვდე!

— შენ ეგა თქვი, სთქვა მესამემ: ჩემი ნიკორა კამეჩი-ღა?! ვაი დედას მტრისასა!—და ჩაიმჯიღა გული.—ქრისტეს მადლმა, მთისათვის რომ მოგება, მთას მოჰგლეჯდა. მაშ უნდა შერჩეს დათვს იმისი შეჭმა?! თუ ხელით ვერაფერს გავაწყობ, კბილით მივვარდები. ვოჰმე, ვოჰმე, ჩემო ნიკორა კამეჩო!

— ყველანი თავის ჭირსა სტირით, შვილო, და ჩემს გულში კი არ ჩამოიხედავთ... საახალწლოთ ვინახამდი კერატს და მაგ ვერანამ არ მომტაცა! მიჰყვანდა და თან მიაჭყვირებდა... არა, არა, დათმობა არ იქნება. გული ვერა სთმობს, სთქვა მეოთხემ.

— თქვენ ჩემი სთქოთ, კაცო! სთქვა მეხუთემ: საქონელი რა სათქმელია... ნეტა ჩემი ცოლისათვის გული არ გადმოეგდებინა ბუდიდამ. მას შემდეგ, რაც ეს ვერანა ენახა ზღმარტლზე ყოფნის დროს, ძილში ბოდავს და ორჯელ ქადაგადაც დაეცა.

— მე არც ძროხა მყავს, არც ცხვარი, არც ღორი, არც კამეჩი, კატაც არა მყავს სახლში,

თქვენც კარგათ იცით, ცოლ-შვილს ვინ იტყვის, სთქვა თევდორამ; არც არაფერი შეუპამია ჩემი დათვს, მაგრამ სოფლის გულისთვის ჯანდაბას იყოს ჩემი თავი, ერთ დღეს გავჩენილვარ, ერთს დღეს მოვკვდები. ჩემ ფეხებს! ყოჩაღათ იყავით, ნიახურელებო, ყოჩაღად! თანაც ისეთი შეუჭ-ყივლა თევდორამ, რომ ყველანი შეხტნენ, თი-თქოს ქორწილში არის თევდორა და არა ტყეში სანადიროდაო.

გიგოლა სულ წინ მიდიოდა და დინჯად მი-აბოტებდა, ლაპარაკში არც.კი ერეოდა. თევდო-რას შეჭყივლებაზე გიგოლამ მოიხედა და შეუბ-ღვირა თევდორას. თევდორასაც თითონაც ცოტა არ იყო შერცხვა, პირზე ხელი მიიფარა, და და-ჭყეტილი თვალები უფრო დააჭყიტა. თევდორას არც სხვებმა მოუწონეს ეს უალაგოდ შეჭყივლება.

— აჭ-კი ნუ ღრიალებ, თუ ბიჭი ხარ, მამა-ცად დათვს დაუყვირე, უთხრა თევდორას ქიტე-სამ, რომელიც ცოტა არ იყოს გულნატკენი იყო იმითი, რომ წილმა დათვისაგან დაბეგვა ამას არგუნა.

— მოკვდეს თევდორა, თუ დათვს უფრო არ დავუჭყვირო, სთქვა თევდორამ და თან თეთ-რის ჩოხის წამოწეწილი—ჩამოგლეჯილი კალთები აიკეცა და ჩაიმაგრა ქამარში. თევდორას ისეთი ჩამოგლეჯილ-კალთებიანი ჩოხა ეცვა, რომ გეგო-

ნებოდათ, როცა შეჰხედავდით იმის ჩოხას, თასმები ჰკიდიაო... ჩაიმაგრა, შემოიკალთა ჩოხა თევდორამ და გაირჯო ისევ წელში თავისი ნაჯახი. ნაჯახის პირზე ერთს მჭადსაც დაედვა ყური და ამაყად ამოიცქირებოდა ჩოხის კალთიდგან.

IV

მონადირეები ეხლა ტყეში იყვნენ. გარიჟრაჟდა და ერთს ხევს მიადგნენ, პირები დაიბანეს, ზოგმა ჩიბუხი გააჩაღა, სხვამ პურს დაუწყო ლოღნა. დაიბანეს პირები და გადიწერეს პირჯვარი. ხევს რომ გასცდნენ, აღმართს შეუდგნენ. ტყესა და ტყეს შუა ველები იყო, ველები მწვანედ მოსჩანდა, ბოლით დაფარული. უცბად ყველანი შეჩერდნენ. თოფიანებმა თოფებს ხელი გაიკრეს. რა მოხდა? ტყიდამ გამოცანცალდა კურდღელი, ჯერ კიდევ ნამი არ გაჰშრობოდა ტანზე და ყურებზე. პატარა-ხანს გზაში შედგა, დაყუნტდა, ყურები აცქვიტა. წინად დაბუხულს ჰგავდა და ხალხი რომ დაინახა, ფიცხად გადახტა და მიიმალა ტყეში. თოფის სროლა ვერავინ მოასწრო. გიგოლამ ყურადღებაც არ ათხოვა და სხვებსაც დაუწყო ჯავრობა.

— სად არის იმდენი ტყვია-წამალი, კურდღლებზე ვხარჯოთ. კურდღელს რომ ტყვია მოხვდეს, ხომ ფეხების მეტი აღარაფერი დარჩა.

— აი დასწყევლოს ღმერთმა, იძახოდა ხალ-

ხი: როგორ დაგვნავსა მაგ ვერანამ! ცუდი ნიშანია, ცუდი!

ცოტა რომ გაიარეს, უფრო ფიცხად გაიკრეს თოფიანებმა ხელი თოფებზე, ნაჯახიანებმა ნაჯახზე, წალდუნიანებმა წალდუნაზე და შუბიანებმა შუბზე. რადა? რა მოხდა? რა ამბავია? ის ამბავია, რომ საით მხარესაცა კურდღელი გადახტა, იმ მხარიდამ, თუმცა ცოტა ზემოდამ, მელა გადმოხტა და სწორეთ ერთი ადლის ტოლა კუდი გადაათრია გზაზე.

— მელა, მელა, მელა! დაიძახა ხალხმა ჩურჩულის ხმით. მელამ ერთი თავისებურად, ცბიერად, ცბიერის თვალებით გადმოხედა მონადირეებს, ულვაშები, თან ტუჩი აიფშრუკა, თითქოს დასცინა მონადირეებს, გადახტა თავ-მომწონებით და დასკუპდა ველის პირად.

— უყურე მაგ ვერანას, სთქვა ერთმა და თან თოფი მიუღერა, დააჩხლაკუნა და არ გაუვარდა-კი. მელამ კუდი აიბზიკა, გადახტა და იქვე დაცუცქდა.

— ჰაი, შენ საოხროვ, შენა, სთქვა მეორემ და მიუშვირა თოფი: მე გიჩვენებ შენ სეირს. დაუჩხლაკუნა და კიდევ იმასაც არ გაუვარდა. მელამ წინანდებურად კუდი შეიკაუჭა, გადახტა, შემოიხედა ერთი და იქვე დაყუნტდა... დასცინა მონადირეებს, ნამდვილად დასცინა. მონადირენი

განცვიფრებით ბრაზ-მორეულნი შესცქეროდნენ მელას...

— დაგნავსათ, რა ამბავია, მაგ ოხერმა? სთქვა მესამემ და მიუჩხლაკუნა იმანაც თოფი. ფალიამ აიარა, მაგრამ თოფი კიდევ არ გავარდა. მელამ ეხლა-კი იკადრა და გადახტა ტყე'ში. ამ სურათის მნახველს თევდორას სიცილი ველარ დაემაგრებინა, მუცელი ხელით ეჭირა და ჰგორავდა დაბლა.

— ვაჰმე, დედავ, ვაჰმე, დედა ჩემო! ნეტა ი საოხრო მუგუზალი მაინც წამომეღო, კასკასებდა თევდორა.

გიგოლას ძალიან ეწყინა ეს ამბავი და შეუტია მონადირეებს.

— მაგ იმედით მოსდიხართ დათვზე?! ვაჰ, შენ ჩემო თავო, ვაჰ, შენ ჩემო თავო! სთქვა გიგოლამ გაჯავრებულმა: მომიტანეთ აქ თოფები, მომიტათ ჩქარა!

— შენ რატომ არ ესროლე, გიგოლი, თოფი იმ ოხერს. რა გვიყო, როგორ დაგვნავსა, ვერ უყურებ?— უთხრეს მონადირეებმა გიგოლას.

— სადათვედ გატენილი თოფი მაქვს, მელაზე დავცალო?! სთქვა გიგოლამ; მომიტანეთ აქ თოფები!

გიგოლას თოფები მიუტანეს: სათითაოდ ყველა თოფები გაშინჯა... ყველას ტალები გამოა-

რიდა, დაუპირა, ყველა საფლია თოფებს თავის საპირის-წამლიდამ დაუყარა თოფის ყურზე.

— ვაი, ვაი, რა ხალხნი ხართ, ამბობდა გაჯავრებული გიგოლა: თქვენი რა იმედი უნდა ქონდეს კაცსა! დათვზე მოდიხართ და რა იარაღით მოდიხართ, სირცხვილი არ არის?! განა ნადირობა რომ გაგიგონიათ, მაგ ნაირის იარაღით ნადირობენ და ჰხოცენ ნადირსა?!

— ყოჩაღათა ვართ, ფიქრიც არ არის, გიგოლი, სთქვა თევდორამ სიცილით: ერთი მუგუზალი-ღა გვაკლია, სხვა არაფერი!

— შენ რომ თოფიც არა გაქვს, შვილო, შენ ვისღა დასცინი! უთხრეს შერცხვენილმა მონადირეებმა, სიცილისაგან თვალებ-მოცრემლიანებულს თევდორას.

V

ხალხი, ცოტა არ იყოს, სასო-წარკვეთილებაში ჩავარდა ამ მარცხის გამო, იმედი შეუსუსტდა გულში, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა, უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მონადირეებმა გადავლეს ქედი და მოედვნენ ხშირს, დაბურულს ტყეს. ბევრი იარეს, ცოტა იარეს. გავიდნენ მლაშე ველში. ჯერ მზე კიდევ არ ამოსულიყო, მხოლოდ გაეწითლებინა-კი აღმოსავლეთი. ფრინველთ პირველ განთიადის გაჩაღებულს გალობას უკლეს, მხოლოდ წიპრია და წიფლის-ჩიტა არ დაღალული-

ყვნენ. მონადირენი დასხდნენ ცოტა ხანს და გამართეს თათბირი იმაზედ, თუ საით და როგორ მისვლოდნენ დათვსა, რადგან დათვის ბინაზე, მის საწოლზე ახლო იყვნენ.

— იცით, ბიჭებო, ჩვენ რა უნდა ვქნათ და როგორ უნდა მოვიქცეთ? სთქვა გიგოლამ, მაგრამ სიტყვის დასრულება ვეღარ მოასწრო, რომ ფიჩხიანიდამ ბღუილი შეძოესმათ... ოჰო, ოე, სთქვა კვლავ გიგოლამ გამხიარებულმა: მე რომ გითხარით ფიჩხიანში ეგდება-მეთქი, აბა დაიყურეთ, რა ამბავში არის ჩვენი მტერ-მოყვარე!

ყველანი ფეხზედ წამოდგნენ, აცქვიტეს ყურები და გაიცქირებოდნენ ფიჩხიანისაკენ.

— ეჰე სთქვა ერთმა; როგორა ბურტყუნებს ეგ მუდრეგი!

— ჰაი და-და-და-და-და, სთქვა მეორემ: ძაან არ გამწარებულა!

— ჰაი, ოხრობა შენი და ტიალობა! გაისმა საერთო ხმა ხალხისა: რა აღმულებს, გიგოლი, მაგ მუდრეგს?

— კბილი ასტკივნია, მიუგო გიგოლამ და თან ჩიბუხზედ ჩიბუხის ნემსით აბედს დაუწყო სწორება: — დაიცადე, დაიცადე პატარა ხანი, მაგ სხვა კბილებს ჩვენ აგატკიებთ, მოგვითმინე პატარა ხანი, — კიდევა სთქვა გაგოლამ თავ-ბომ წონედ.

— კბილიო? განიმეორა ხალხმა: ესემც ასტ-კივნია, რომ თან გაეტანოს კიდეც. ჩვენი ცოდო-რა ხეირს დააყრის!

— კბილი-კაარა, სთქვა ღიმილით თევდორამ, გვემუქრება;გაიგო,რომ მივდივართ და გვეძახის: „აბა კაი ბიჭები იქნებით და მოხვალთო!“ გიგოლა გე-ხუმრებათ, რა არის გული არ გაგიტყდეო.

— არა, მართლა კბილი სტკივა, გეთაყვა, გიგოლი?! განმეორებით შეეკითხა ხალხი გიგო-ლას.

— მართლა, მამი-ჩემის სულის განათლებამ. სხვა დათვს არაფერი დააწყებინებს ეგრე გაბმით ღმუილს. ერთი როცა თოფს დაჭრავ, მაშინ დაი-ღრიალებს მხოლოდ ერთხელ, მერე ხმას გაიკ-მენდს, თუნდა დაჭრილიც იწვეს, ან მირბოდეს, აღარა ღრიალებს. ეხლა ეგ ადგილობრივა გდია და უფრო საშიში ეხლა არის; უეკველად ომს აგვიტეხს, მაგრამ, ღვთით, ვერაფერს-კი გამოგვრ-ჩება. თქვენ, როგორც მე დაგარიგოთ, ისე მოი-ქეცით.

— რაკი კბილი ასტკივნია, იქნება კიდეც გადიტანოს თან. მოდით თავი დავანებოთ, სთქვა ერთმა და ნახევარი ხალხი ამ სიტყვაზე და-თანხმდა.

— აი ყოჩაღ! მართლა, მართლა, კარგი მოი-გონეთ, სთქვა გიგოლამ სიცილით.

ამდენის ხნის გაუცინარს ეხლა ძლივს გაეცინა გიგოლას.

— ბალღები ხომ არა ხართ, რას ამბობთ, კაცნო? განაგრძო გიგოლამ: თუ გეშინიათ და სული ძალიან გეტკბილებათ, ნუ წამოხვალთ, მიბრუნდით უკანვე და მიუდით თავის ცოლებს შინ მშვიდობით, თუ არა და, რას ამბობთ, როგორ ამბობთ? დედა.კაცები ხომ არა ხართ, კაცები ხართ, თავზე ქუდები გხურავთ. ქუდი კაცს ნამუსისათვის ხურავს, განა მარტო სიცხე-სიცივისათვის. სირცხვილით მაგას როგორ ამბობთ, თუნდა იცოდეთ კიდეც, რომ ცოცხლები ვეღარ დაბრუნდებით შინა?.

— ვხუმრობთ, გიგოლი, განა მართლა ხომ არ ვამბობთ, შესძახა გამხნევებულმა ხალხმა: რასაც შენ გვეტყვი და გვირჩევ, ჩვენც ისე მოვიქცევით.

— ე მაგრე, ჰაი, ყოჩაღ, ნიახურელებო, ყოჩაღ! შესძახა თევდორამ თავისებურად და ჩამოიწია თავისი დაგლეჯილი ქუდი თვალებზედ...

ყველანი გაუჯავრდნენ ამ მოუთმენლობისათვის. თევდორამ იტურნა და თავისათვის მიჯდა გამხმარის ჯროყრების პიში.

— პირდა-პირ უნდა სოროში მივუხტეთ, იძახდა ხალხი. ყველანი ერთბაშათ უნდა მივიდეთ და დავუშინოთ თოფები!

— არა, სთქვა გიგოლამ, ერთის მხრიდამ მისვლა არ გამოდგება. როგორ იქნება? წამოხტება და სხვა მხარეს გაგვექცევა, პირში ჩალას გამოგვავლებს. ეგრე-კი არა, ჩემო ძმებო, ჩვენ უნდა გარს შემოვერტყნეთ დათვის ლოგინს, ირგვლივ რამდენიმე კაცი ერთად დადგეს, ოროლი ან სამ-სამი, რომ ერთმანეთს მიეშველნენ. ერთი-ორი ბიჭი ზევით უნდა გავგზავნოთ, რომ დააგორონ ქვები და ზედაც თოფები დაახალონ. დათვი ადგება, პირ-აღმა არ გაიწევს, წამოვა თავ-ქვე და ჩვენც წინ დავუხვდებით.

ხალხი ძალა-უნებურად დასთანხმდა გიგოლას რჩევას; ყველას ერთად ყოფნა ეწადა, ერთად ბრძოლა და ერთს ადგილს სიკვდილი, მაგრამ არ შეიძლებოდა, ხალხი დასთანხმდა გიგოლას. ორი ბიჭი დათვის ასაგდებად გაგზავნეს და ხალხი ორორ-სამ-სამი კაცი ერთად დადგნენ ფიჩხიანის გარეშემო. დათვის ბღავილი და კვნესა ისევ ისე მოისმოდა. ზოგნი ხერგებში შეძვრნენ, სხვანი ბუერიანში ჩაიმალნენ, ან ხეებზე ავიდნენ და ამბობდნენ: ზევიდან უფრო კარგათ დავაზელთ დათვს თოფსაო. ქიტესამა და თევდორამ ერთი ძირიანათ ამობრუნებული წიფელი აისაფრეს. ქიტესა დაიმალა ფესვებთან, თევდორა წიფლის წვერებთან მაღალ ფეხზე შემოყენებულის ქოფაჩით.

— ნუ გეშინიან ძმაო ქიტესო, ჩამოსდუ-
დუნებდა ზევიდგან თევდორა: თუ ჩემი ნაჯახი აქ
მექნება, ლომსაც გავისტუმრებ, განაღამც დათვს.
ამბობდა რა ამას თევდორა, თან ნაჯახს ატრია-
ლებდა ხელში.

თევდორას ზემოთ თელასთან ატუზულიყო
სოსიკა-ბიჭი, იმასაც მოემზადებინა გაშავებული
და ჟანგისაგან შეკმული ხარა თოფი. გიგოლა
ქვევით გეზზე ჩაუჯდა. ერთი ცეცხლისაგან გამო-
მწვარი და გატუსული ყუნჭი აიფარა, თოფს წვე-
რი დათვის მოსავლისაკენ მიუბრუნა და გაფაცი-
ცებით, მოუთმენლად ელოდა' დათვის გამოჩე-
ნას. ყველანი, თავ-თავიანთ იარაღით მომზადე-
ბულნი, გულის ფანცქალით ელოდნენ დათვთან
ომს.

VI

მოისმა კივილი დათვის ასაგდებათ გაგზავნი-
ლის კაცებისა და გავარდა ორი ოფი ზედი-ზედ.
დათვს ამ ხმაურობაზე ცუდმა მხარმა უთხრა. ადგა
გამწყრალი, ახალმა ჰირმა კბილის ტკივილი და-
ავიწყა. სიბრაზისაგან პირზე დორბლი მოუვიდა.
წამოვიდა თავ-ქვე ბუზღუნით. მოდიოდა დათვი
ზვავივით, მოჰქონდა ფეხით მიწა და ფოთოლი
და ტანით შიმელების ტოტები. ყველას ჟრჟო-
ლა მოჰკიდა ტანში, მოუვიდათ ჟამი ციებ-ცხე-
ლებისა. დათვი ექვსს მონადირეს გაეოსცდა. ამ

ექვსში მარტო სამი იყო თოფიანი, სხვანი კეტებითა და შუბებით იყვნენ: თოფიანებმა დათვი რომ გაიცილეს, მერე დაახალეს თოფები. სამი თოფი ერთბაშად გავარდა, დათვი დაიკრა რამდენსამე ადგილას და მორთო ღრიალი. ნატყვიარებს კბილით იჯენჯდა და ამტვრევდა ხეებს, ასტეხა ვაი-უშველებელი, დიდი მუქარა, დიდი ამბავი და გაექანა ბურტყუნით იქითკენ, სადაც ქიტესა და თევდორა იყვნენ ჩასაფრებულნი... ქიტესამ დათვს თოფი შუბლში დაუმიზნა, დასხლიტა ჩახმახი, თოფი გავარდა, ტყვია ძირს დაუცდა, ფეხში მოხვდა დათვს და წინა ტოტი მოსტეხა. დათვი გამწარებული გაექანა, დაეტაკა ქიტესას და დაუწყო ბეგვა...

„კაცი მოკლა, კაცი მოკლა!“ გაისმა ხმა მონადირეებისა: „უშველეთ, კაცებო უშველეთ!“

— ნუ გეშინიან, ძმაო ქიტესო, მე აქა ვარ, ნუ გეშინიანთ, გაისმა ხმა თევდორასი. თევდორა ნაჯახ-მოღერებული გადმოხტა და მიიწია მისაშველებლად. გაგონილი ჰქონდა, რომ დათვზე რომ გადაჯდეს კაცი და ყურები დაუჭიროს, დათვი ვეღარაფერს უზამსო. თევდორაც მივიდა თუ არა, შეახტა დათვს ზურგზე, ნაჯახი ხელიდამ ჩაუვარდა, როცა ყურების დასაჭერად დათვს ჩააწვადა ხელები. დათვი შედგა ტოტებზე, აასქდა და დაასქდა. თევდორა მოიგდებინა, ამოიდო ქვეშ

ქიტესასთან ერთად და დაუწყო ორივეს ბუბვნა. გამოექანა სოსიკა-ბიჭი, მორბოდა მოსაშველებლად და თან გამოწვდილი დამზადებული თოფი ეჭირა ხელში. უცბად ხელი მოჰკრა ვიღამაც უკან კალთაზე, „ვაიმეო!“ დაიძახა სოსიკა-ბიჭმა და დაეშვა დაბლა, თოფიც ხელიდამ ჩაუვარდა. იმას ეგონა დათვმა დამიჭირაო.

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ გეშინიან, მე ვარ, ეუბნებოდა ათრთოლებულის ხმით გიგოლა, რომელიც დათვს ეპარებოდა და უნდოდა თოფი ესროლა დათვისათვის. გიგოლას შეეშინდა, ვაი თუ სოსიკა-ბიჭს დაუცდეს თოფი, ხელი აუკანკალდეს და კაცები დახოცოსო დათვის მაგიერად. ამიტომ დაუჭირა კალთა სოსიკა-ბიჭს და დაახევინა უკან. სოსიკა-ბიჭს გული წაუვიდა და გამტკნარებული გაიშხლართა დაბლა, მაგრამ გიგოლამ იმას ყური აღარ უგდო. დაუჩოქა დათვს და ყურის ძირში მისცა თოფის ნიშანი. დათვი ამ დროს თევდორას ჰბეგვდა. თოფმა დაიგრიალა, ცოტახანს ისე იყო, ყურის ძირში ტოტი მოისვა და დაჰხედა. რა ნახა სისხლი, დაიღრიალა ერთი-კი საცოდავად, გადაგორდა და თევდორაც თან გადიყოლა, რადგან თევდორას მკლავი პირში ეჭირა. მონადირეებმა დაინახეს რა წაქცეული და დაგორებული დათვი, გამოვიდნენ საფრებიდამ. ზოგნი გამოსულებიც იყვნენ და მი-

საშველებლად მორბოდნენ. შეჰქმნეს ყვირილი, დასცეს კიჟინა. მისცვინდნენ გიგოლას და დაუწყეს კოცნა.

VII.

— ემ თვალში გენაცვალე, გიგოლი, რომ სჭუტავ ხოლმეო, ჰკოცნიდა ერთი მარცხენა თვალში.

— მარჯვენა თვალში გენაცვალეო, ეუბნებოდა მეორე და ჰკოცნიდა: რომ კარგად ამოიღებ ხოლმე ნიშანში.

ზოგი ეხვეოდა დაჭრილებს და უხვევდა წყლულებს. თევდორა ქიტესაზე მეტად იყო დაბეგვილი, ცალი ხელი, თეძო მილეწილი ჰქონდა, თვალ-პირზე სისხლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ერთხელაც არ დაუკვნესია. ქიტესას გვერდი ჰქონდა გამოგლეჯილი და ცალი ლოყა დაკაწრული. სოსიკა-ბიჭსაც სინჯვა დაუწყეს, მაგრამ წყლული არსად არა სჭირდა, თუმცა-კი თვალები დახუჭული ჰქონდა და მკვდარივით ეგდო. ჩაუყვეს უბეში ხელი, გული უცემდა.

ე რა ამბავია, კაცო? ეკითხებოდნენ ერთმანეთს: კაცი ცოცხალია და მკვდარს-კი ჰგავს?!

— შეეშინდა, არაფერი უშავს! შემოსძახა ხალხს გიგოლამ. ხალხს მიჰქონდა წყალი, ზოგს

კალთით, სხვას ქუდებით, ბუერით და ასხამდნენ სოსიკა-ბიჭს თავზე.

— ადექი, სოსიკო, ადექი, ცოცხალი ხარ, ღმერთის მადლმა, ნუ გეშინიან, ადექი ბიჭო! დაჰყვიროდნენ სოსიკა-ბიჭს თავზე: შეგშინებია, სოსიკო, შეგშინებია, ვერ დაგბეგვა დათვმა ვერა!

როგორც იყო სოსიკა-ბიჭმა გაახილა თვალები, მაგრამ ისევ მალე დახუჭა.

— ავადა ვარ ავად! წაილუღლუღა სოსიკა-ბიჭმა და მიწვა მხარ-თეძოზედ.

— გიორგა, ჰა გიორგა, ეუბნებოდა ერთს ახალგაზდა ბიჭს, რომელსაც მხარზე გაედო უზარმაზარი კეტი: ერთი ქუდი მომიძებნე, გეთაყვა, ქუდი, ჩემი ქუდი! თევდორას სიტყვაზე ყველანი დაფაცურდნენ, დაუწყეს ძებნა და შვიდად გაგლეკილი მოუტანეს თევდორას ქუდი. ეს ქუდი აღარ დაიხურებოდა. ერთი თეთრი, ოფლისაგან გაშავებული თიკვი იშოვნეს და ის წააკრეს თევდორას თავზე. თევდორა მაინც არა კვნესის. წყლულები შეუხვიეს დაჭრილებს: ვინ ჩოხა დახია ნაჭრებად, ვინ ახალუხი. თევდორას შეუკრეს მაგრად გაჩეჩქვილი მკლავი და თეძო. თევდორა მაინც კიდევ არა კვნესის.

— წორედ რკინიჰ კაცია, ეგ ოჯახქორი, დასწყევლა ღმერთმა! ნახევარი კაცი აღარ არის და დახეთ, თუ ერთი ამოიკვნესოს, კაცო! იძახდნენ

მონადირეები.

თევდორა მაინც არ კვნესოდა, წყლულები სურდო-ხველადაც არ მიაჩნდა. ორი ბიჭი სოფელს აფრინეს, რომ სოფლელთათვის ეხარებინათ დათვის სიკვდილი და თან ორი ურემიც წამოეღოთ: ერთი დათვის წასაღებად, მეორე დაჭრილთათვის. მონადირეთ ეხლა დრო მიეცათ დათვზე ნავარდობისა. მიეხვივნენ ყველანი მკვდარს დათვს, ვინ კეტსა სცემდა თავში, ვინ კიდევ ნაჯახის ყუას კბილებში ურახუნებდა და თან უგინებდა ცოდვიანს კბილებს, ვინ შუბსა სჩრიდა ხახაში. დათვი უგრძნობლად ეგდო გულ-აღმა; გულზედ ხელები დაეკრიფა მკვდარის კაცივით, ჩამოსდიოდა სისხლი წყალივით თითქმის ყველა ასოდამ.

VIII.

მზეს ერთი შუბის ტარი-ღა ჩაუდიოდა, რომ ურმებმა მოიღეს ჭრიალი. უკან მოსდევდნენ ქვითინით ქიტესასი და სოსიკა-ბიჭის ნათესავები. ყველაზე შესაბრალისი სოსიკას დედა იყო, ამ ერთად ერთის შვილის მეტი არავინ გააჩნდა საბრალოს და ესეც ხელიდამ მისდიოდა თითქმის. შორიდამვე ისმოდა სოფიოს, სოსიკას დედის, ქვითინი.

— სადა ხარ, შვილო, სოსიკო!—ქვითინებდა სოფიო: გენაცვალოს, გენაცვალოოს დედა-შენი, შვილოო! რად გამოგგზავნე დათვზე მე თავ-მკვდარმაა! ვინღა დამმარხავს მე საბრალოოს?! მაშ აღარ მეღირსება შენის ხელით მიწა, შვილოო?! რატომ შენზე წინ მე არ მოვკვდი! რად მინდა სიცოცხლე! ვიღასათვის და ვისთვის ვიცოცხლოო?!

ქიტესას ცოლ-შვილიც არა ნაკლებ დასტიროდა ქიტესას. მარტო თევდორას არა ჰყავდა დამტირები, არავინ ჰგლოვობდა იმის უბედურებას. ან-კი ვინ იტირებდა თევდორას? და იმას არა ჰყავ, ძმა და ცოლი, ბიძა და ბიძაშვილები, ერთი ლიტონი კაცია.., თავისი თავი თითონ არ ებრალებოდა, სხვა ვინ შეიბრალებდა თევდორას? ამითი გულს არ იტეხდა თევდორა, ვიღასაც რუსული ფარაჯა წაეხურა თევდორასათვის და ურმიდამ წინანდებულად გამოიჭყიტებოდა, წინანდებურად ისე, რომ საათში ერთხელაც არ ახამხამებდა თვალს. იმის გვერდზე იწვნენ ქიტესა და სოსიკა-ბიჭი. ეს უკანასკნელი როგორც იყო მოასულიერეს, მაგრამ მაინც კიდევ ავადობასა სჩიოდა. თავი დედის კალთაში ედო... მეორე ურემზე დათვი დაუდეს... დათვის სიკვდილმა ცოტა არ იყოს, რომ დედაკაცებს მწუხარება შეუმსუბუქა, რამდენიმე ქვა და გუნდა კიდევ თავის მხრით იმათ მიაყარეს დათვს, წყევა-კრულვა ხომ სხვა იყო.

მონადირეებს, დათვის მოკვლისაგან გახარებულებს, დაჭრილთა მწუხარება დაავიწყდათ და სიმღერით გამოჰყვნენ უკან ურმებს.

IX

შუა ღამე მოტანებული იქნებოდა, რომ გამარჯვებულები შევიდნენ სოფელში. მოგროვდა ხალხი დიდი და პატარა, ქალი და რძალი დათვის სანახავად. ყველანი განცვიფრებით შესცქეროდნენ დათვის სიდიდეს, იმის გოდორივით დიდ თავ-ყურს.

— მოჰკალით დათვი?—კითხულობს ერთი.

— მოვკალით და ეგრე!—უპასუხებს ერთი მონადირეთაგანი.

— მართლა მოჰკალით? მორბის მეორე და იმასთან სხვანი მრავალნი.

— მოვკალით და მერე როგორ მოვკალით? ბოლი ავადინეთ ზურგზე! უპასუხებენ მონადირენი.

— მართლა, მართლა მოუკლავთ, რამოტონაა ეს ვერანა, ერთი უცქირეთ-და!—იძახიან სეირის სანახავად მოსული სოფლელები.

დათვი მეორე დღეს შუადღემდე სოფლის შუა მოედანზე გასატყავებელი ეგდო და ყველანი მოდიოდნენ და სინჯავდნენ, მკვდარს დათვზე

ჯავრს იყრიდნენ. სოფელში კუტიც-კი აღარ დარ-
ჩა, რომ არ მოსულიყო და მკვდარის დათვისა-
თვის წიხლი არ ჩაეზილა.

თევდორასა და ქიტესას სოფლის დედა-კაცი
დაადგა თავს, არჩენს ორივეს. ორივენი რჩებიან,
ღვთის მადლით, კარგათ არიან. თევდორა უფრო
ყოჩაღად არის, ეხლა უფრო გამამაცდა და არამც
თუ საათში, ორ საათშიაც-კი აღარ ახამხამებს თვა-
ლებსა და ვეფხვივით გამოიცქირება.

დათვს-კი სცემს ხალხი თავში და პირში.
რამდენიც დაარტყამს, იმდენი დასძახებს თავზე:
ამოგშხამდა სოფლის შეწუხება?! მოკვდი, მოკვდი,
ეგრე მოკვდი!“

უძლური ვირი

(ძველის-ძველი ამბავი).

ვირი დაბერდა. პატრონისათვის ხელსაყრელი აღარ იყო. თვალები ჩაუძვრა, ყურები გაუტიტვლდა. ზურგი მთლად გადაღვლეპილი ჰქონდა; ცალიერს, ხმელს ძვლებზე ხმელი, დაბეგვილი და დაკოჟიჟებული ტყავი ეკრა. რამდენი სახრე, რამდენი კეტი მოჰხვედრია საბრალოს ზედ დაკიჟინებით: „აცე, შე მუდრეგო, გადადგი ეგ ოხერი ფეხებიო“.

ბევრი, დიდი ჯაფა უნახავს იმის ზურგს. თეძოებიც დახუთული ჰქონდა, წელ-მოწყვეტილსა ჰგავდა.

ვირი ეზოში იდგა თავ-დაკიდებული და ჰფიქრობდა თავის ყოფნაზე. ჰგრძნობდა დაუძლურებას, ჰგრძნობდა, პატრონი ისე აღარ მომივლის, როგორც წინადაო, რადგანაც უსარგებლო-ღა ვარ, ფეხებს მე ვეღარა ვხმაროობ და წელსაო.

ვირის პატრონიც ამბობდა; „რა უნდა უყოს კაცმა ამ ვირ-ტიალს, შენახვად აღარ ღირს, ყიდვით აღარავინ იყიდის. მართალია, დიდი ამაგი

აქვს ჩემს თავზე, მაგრამ უნდა წავიყვანო და გავუშვა მინდორში, ნადირი მაინც შესჭამს, მადლია. საჭმელი—თივა და ბზე იმდენი არ არის, რომ დავაბა და ვაჭამო. თოფით მოვკლა? ტყვია-წამალი სად არის იმდენი, რომ ამაზე ვხარჯოვო. ისევ გაშვება სჯობია". ვირის პატრონი მართლაც ასე მოიქცა: ჩაუბა ვირს ყელზე წნელი და წაიყვანა მინდორში. ვირი და მისი პატრონი ტაატით მიდიოდნენ, რადგანაც ვირს სიარული უჭირდა.

— სად მიგყევარ, ჩემო პატრონო, შემკმაზავდი მაინც, ტიტველა ზურგზე რას ავიკიდებო? უთხრა ვირმა თავის პატრონს, როცა სოფლის ნაპირს გავიდნენ და დიდს, ტრიალს მინდორს მოეკიდნენ.

— საძოვარზე მიმყევხარ, ჩემო მერანო, საძოვარზე, უპასუხა პატრონმა.

— ვაჰმე, ვაჰმე, სთქვა ვირმა: ამისთანა დროს, ამოდენა თოვლში რას მოვძოვ, შე სულ კურთხეულის შვილო?! არა, შენ სხვა რაღაც გიდევს გულში. მოგწყინდი განა? დავუძლურდი, ველარაფერს გიკეთებ და იმიტომ მომიძულე განა? ოცი წელი ხომ მაინც შენი ყმა და მუშა ვიყავი, შე კაი კაცო,—ერთი ორი კვირა რა გაგიხდებოდა, რო შეგენახე? მე ხომ, ეს არის, სული კბილით მიჭირავს და, საცაა, გადავბრუნდები და მოვკვდები.

— მართალია უპასუხა პატრონმა: შენთან პირ-შავი ვარ. მაგრამ რა ვქნა, ჩემო ვირო, რა წყალს ჩავუდგე? ეხლა უნდა სხვა ვირი ვიყიდო, აბა სად შემეძლო თქვენი, ორივესი კვება; შენ მინდორში გაგიშვებ, ჯაფა არაფერი გექნება, თავისუფლად იქნები. ისე თავის დღეში არ გაკრიჟანგდება ბუნება და დედა-მიწა, რომ ათასში ერთგან კიდევ არა სჩანდეს მინდორში ხმელი ჯოყარი და შამბი. მიიარ-მოიარე და დაარჩინე შენი თავი. ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა? მაგონდება განა არა, შენი დიდი ამაგი ჩემზედ და ჩემს ცოლ-შვილზედ, ბევრი ვიფიქრე და ამის მეტი ვეღარაფერი მოვიფიქრე, მოსაკვლელად ვერ გაგიმეტე.

— ეჰ, არ მემართლებოდი-კი ამას, ჩემო პატრონო, მაგრამ რა ვუყო, რა მეთქმის, პირში წყალი მედგა, მადლობა უფალს! დიდება იმის სახელს, ვინც ჩვენ ვირები ასე დაგვაარსა და ასეთი ბედ-ბოლო დაგვიწერა. სჯობდა-კი, რომ თოფი წამოგეღო და მოგეკალი. მაინც მე ხომ არაფერი მიხსნის მგლების პირიდამ, უნდა მწეწონ, მტანჯონ. ტყვია-კი სწრაფად მომიღებდა ბოლოს და მერე მკვდარი ლეში საცა უნდა ყოფილიყო, თუნდა ყვავს ეზიდნა, თუნდა ყორანს.

საღამო ხანი იყო, რომ პატრონმა ვირი დანიშნულ მიჯნაზე მიიყვანა ტრიალ შუა მინდორ-

ზე, სოფელზედ კარგად მოშორებით, შეჰხსნა წნელი ყელიდამ და გაანება თავი.

— ეხლა მშვიდობით, ჩემო უწყინარო, უჩივარო, მომთმენო ვირო, ღმერთსა ვთხოვ კარგათ იცხოვრო, არაფერი დაგიშავდეს, არ შეგციოდეს, არ მოგშივდეს, არ მოგწყურდეს. სთქვა ეს პატრონმა და გამობრუნდა წამოსასვლელად.

— მაშ მანებებ, მანებებ თავს, ჩემო პატრონო, აღარ იშლი? შენც მშვიდობით! ღმერთსა ვსთხოვ, ჩემზე ორ-წილად ღონიერი ვირი გეშოვოს, ორ-წილად ჩემზე მეტს იკიდებდეს ბარგს და ოთხ-წილად ნაკლებ საჭმელსა სჭამდეს; იქნება იმას მაინც ესეთი საქმე არ დავმართოს, როგორც მე. სთქვა ეს ვირმა სასო-მიხდილის ხმით, პირი სხვა მხარეს მიიბრუნა, აღარ უნდოდა დაენახა თავისი პატრონი, თვალებიდამ ღაპა-ღუპით ცრემლები გადმოსცვივდა, მუხლთ მოეკვეთა და იქვე ადგილობრივ ჩაწვა თოვლში.

ვირის პატრონიც გაჰქრა. ცივი ქარი ჰკრეფდა გადალესილ თოვლზე ნამქერსა და ჰაერში ათამაშებდა!...

დარჩა ვირი მარტოთ, მარტო ღვთის ანაბარობაზე. ეხლა მისი პატრონი იყო მაღლიდამ მოწმენდილი ცა, დაბლა—თოვლით გადალესილი მინდორი. ადგილ-ადგილ მინდოზე გორად იდგა ქარისაგან მინამქრული თოვლი. პატრონმა რომ

უთხრა ვირს, მინდორში შენს საკმაოს კიდევ ი̆შოვი ჯოყრებს და შამბსაო, ტყუილი გამოდგა: მწოლიარე ვირი თვალს ავლებდა გარეშემო, მაგრამ იქ მცენარის ხსენებაც არსად იყო. თითოოროლა ეკლის ჯაგი მოსჩანდა მინდორზე წერტილივით. დაბნელდა, ქარმა მრისხანეთ ღრიალი მორთო და გაპენტილს თოვლს ეზიდებოდა ერთის ადგილიდამ სხვაგან. ვირი სიკვდილს ელოდა: სხვა მოსალოდნელი მას წუთი სოფელში არაფერი დარჩენოდა. მიმიბარეო, ევედრებოდა თავის გამჩენს. შორს სადღაც აყმუვდა მგელი, ხმა გააგძელა საზარელის კილოთი. ცოტა ხანს შმედეგ სხვა მხრიდამ მოისმა ყმუილი, ახლა სხვიდამ, ასე რომ ოთხსავ მხარეს გაიმართა საზარელი ხმაურობა.

— მოდ̆ით ჩქარაო, ამბობდა ვირი თავისთვის, მაინც თქვენი კერძი ვარ და მაინცაო. ვირს თვალწინ წარმოუდგა თავისი წარსული, თავის ცხოვრება და მწარედ ამოიკვნესა: რისთვის ვიცხოვრე, რისთვის ვიტანჯე? ვიტანჯე, წელი მოვიწყვიტე და ეხლაც ტანჯვით უნდა მოვკვდეო, ამბობდა დაღონებული. მადლობა შენთვის, უფალოო, სთქვა და დაასვენა თავი თოვლზე. ნეტავი არ მალოდინონ და ჩქარა მოვიდნენ მგლები, ჩქარა შემჭამონო. „ლეგ-ჩოხა ბიჭებმა“ არ იცოდნენ ვირის უპატრონოდ ყოფნა მინდორზე,

თორემ დაპატიჟება არ უნდოდათ. სიმშილისაგან შეწუხებულნი დალაწლაწებდნენ მინდორზე და ქვაც რომ დაენახათ, ისიც ხორციელი არსება ეგონათ და ზედ ჰვარდებოდნენ შესაჭმელად: ვირს რას დაიხვალიებდნენ..

ვირს რაღაც ხმაურობა შემოესმა.

— თოვლის ხრიალ-კრიალი და მაღლა ფეხის ცემა. ვირმა იფიქრა, ეგ არის დამეცა მტერიო. მოდი ნუ დავინახავ მაინც ჩემის ხორცის მჭამელსო, სთქვა და თვალები დახუჭა, ოავი უფრო დაბლა დაჰკიდა, თითქმის თოვლში ჩააფარა.

— გამარჯვება შენი, ძმობილო, ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? მოესმა ვირს ხმა.

ვირს ჯერ არ უნდოდა აეხედნა, მაგრამ იცნო, ეს ხმა მგლისას არ ჰგავდა, აიხედა მაღლა და დაინახა თავზე წამომდგარი, ყელ-მოღერებული, თვალებ-მოელვარე რქა-ბუდიანი ირემი. ისეთი ბოჯოჯღი რქები ჰქონდა ირემს, გეგონებოდათ ბებერი მუხა სდგას იმის თავზეო. იმას ორი სხვა ამხანაგი ეტანა — ერთი ისევ ხარი და მეორე ფური-ირემი

— ვირი გახლავართ, თქვენი ჭირიმე, უპასუხა ვირმა, რა დაინახა, რომ სანდო ხალხნი იყვნენ.

— აქ რას აკეთებ ამ დროს, შე საცოდავო? განაგრძო ხარ-ირემმა: ამ სიცივეში, ზამთარში

გარედ შინაურ ცხოველს რა უხარიან?? ჯერ ჩვენ ტყეში დაბადებულთ და გამოზრდილთ გვეძნელება ამ დროს ცხოვრება!?

— პატრონმა მომიძულა, ძმობილო, მანამ ჯანი და ღონე მქონდა მამუშავებდა და ეხლა, რაკი ღონე დავკარგე და დავუძლურდი, დავბერდი, გადმომაგდო ამ ტრიალს მინდორზე, — უპასუხა ვირმა ამოოხვრით.

— არ მიკვირს, ძმაო! ჩვენ იმითი ვართ ბედნიერნი, რომ კაცის ხელში არა ვართ, იმას არ შევხედავთ თვალ-წარბში, ჩვენი თავი ჩვენვე გვაბარია სიყრმითვე და არ გვიჭირს ცხოვრება. შენ რომ დაუჩვეველი ხარ, ასეთს ცხოვრებას ვერ აიტან... ეგეთია ადამიანი. ვიცნობთ ჩვენც ადამიანის შვილებს, თუმცა ტყეში ვსცხოვრობთ და ნადირებს გვეძახიან. კაცზე შეუბრალებლები, აგერ ისინიც არ არიან. დამერწმუნე, რომ სადავლოთ ეძახიან ერთმანეთს. ირემი მგლების ყმუილზე ეუბნებოდა, — შეუბრალებლობა მეტი იქნება? რა დავუშავეთ ჩვენ ადამიანს, რა შევუსვით, რა შევუჭამეთ, რომ ჩვენ არ გვაძლევს მოსვენებას და გვდევს მოსაკლავად!? აი ეხლაც მონადირეებისაგან დამფთხლები მოვდივართ თავის ბინაშივე. ადე, წამო, წავიდეთ, ძმობილო, ჩვენთან იცხოვრე, ჩვენც შეგეწევით, უთხრა ხარ-ირემმა.

— სად შემიძლიან, გეთაყვანეთ, თქვენთან

სიარული, ფეხებს ძლივს დავათრევ..

იქნება, არ გვენდობი? შენ არ იცი, რომ ჩვენ ნათესავობა გვაქვს ერთმანეთში, თუმცა-კი შორეული მაგრამ მაინც ნათესავობა ჰქვიან. თუნდა ეს არ იყოს, თქვენსა და ჩვენს ნათესავობას ქვეყნის დასაწყისიდამ ერთმანეთში არავითარი ბეწვის ტოლა მტრობაც არ მოაგონდება. ჩვენ ჩვენთვის ყველაფერს ვეცდებით. შენ რომ კაცი იყო, სიცივისაგან დაკრუნჩხული, სულთმაბრძოლი და ჩვენ ხელთ ყოფილიყო გადარჩენა, ზედაც არ შემოგხედავდით, ახლოც არ გაგივლიდით, მაგრამ შენ ჩვენი თანამოძმე ხარ, ადე, წამო, ჩვენთან, წამო, ძმობილო, ჩვენთან იცხოვრე. აქ შენ ხეირს ვერა ჰნახავ.

— განა არ გენდობით, თქვენ თაფს შემოგევლოსთ ჩემი საცოდავი თავი, მაგრამ რა ვქნა, განა გეხუმრებით, ფეხებს ძლივს დავათრევ, თეძოები დახუთული მაქვს, წელი თითქმის მოწყვეტილი მაქვსო, ტანიდამ მოშორებულიო, ისე მგონია. სთქვა ვირმა: ცარიელი ძვლები-ღა ვარ.

— ნუ გეშინიან, რაკი ეგრეა, რას მიკეთებს რქები, მე წაგიყვან, ძმობილო. ადე ზეზე, ადექი ჩქარა, თორემ, აგერ საცაა, ძგლები მოგვეწევიან, გავეშუროთ.

ვირი რის ვაინაჩრობით ადგა ფეხზედ. ირემმა წაიწოდა თავის ღონიერი კისერი და შეიგდო

ვირი რქებზედ.

— წავიდეთ ჩქარა,—შეუძახა მან თავის ამხანაგებს,—მე მომყევით,—და შეიკავარავა მძლავრმა ცხოველმა. როგორც ქარმა ბუმბული მოიტაცოს, ისე მოიტაცა ვირი მან.

ჩემი რქების სიმძიმეც არ გქონიაო, უთხრა ირემმა ვირს. ცოტა მანძილი რო გაიარეს.

— რაღა სიმძიმე მექნება, შენ გენაცვალოს ჩემი ბეჩავი თავი, ცარიელი გამოხრული ძვალი და ტყავი ვარო. უპასუხა ვირმა, ირმის რქებზე არხეინად მწოლარემ.

ირმები მიეშურებოდენ მაღალის მთისკენ, დიდ შავ ტყისკენ. ვირიც იქ მიჰყავდათ. იმათ ნაფრენს მინდორზე თვალს ვერ გადუწვდენდა კაცი...

III.

ნახევარ-საათმაც არ გაიარა, რომ ვირი, ირმის რქაზე განსვენებული არხეინად, ეხლა დიდს ულრანს ტყეში იყო. იმან თავისუფლად ამოისუნთქა. ჰგრძნობდა რაღაც კაი მომავალს, გულიც ამას ეუბნებოდა: „უთუოდ აქ არ მოვკვდებიო“. ირმები დიდს ფერდოს შეუდგნენ, ერთს გორის ფხას დაადგნენ და იმაზე მიდიოდნენ. ამ ტყეში უზარმაზარი ხეები იდგა, თვალ-აუწვდენელი. ვირს ძა-

ლიან ჰშიოდა. იქნება ცოტაოდენი ნეკერი მოვ-
ხოხნოვო, იფიქრა.

— დავისვენოთ, ძმებო, ცოტახანს, სიმშილმა
შემაწუხა,—სთქვა ვირმა,—იქნება ცოტაოდენი სა-
ჭმელი რამ ვიშოვოთ.

ძალიან კარგი იქნება,—უპასუხეს ირმებმა,—ეს
საშიში ადგილი არ არის, საჭმოც საკმაოდ იშო-
ვება. მართლაც ტყეში სრული მყუდროება იდგა.
დიდი შავი ტყე გამტკნარებულიყო, თითქოს ყურს
უგდებდა მაღლა ცას, დაბლა დედა-მიწას. ირემმა
ვირი დაბლა ჩამოსვა...

— შენს მხარ-ბეჭს ვენაცვალე, ძმობილო, რო
ბუზადაც არ გაგაჩნივარ, ისე მზიდავ. ახ ნეტავი
ღმერთმა მაცოცხლოს კიდევ იმდენი, შენი სიკე-
თე როგორმე გადავიხადო. ერთს დროს-კი მეც
შეძლებული ვიყავი. ვაჰმე, ოჰ, წელო, სთქვა ვი-
რმა. თოვლში ისე ჩაეფლო, რომ ნახევარი კისე-
რი და ყურები-ღა უჩანდა.

— ღმერთმა ჰქნას, ცოცხალი იყო, ვინ მო-
ელის სიკეთის გადახდას. განა იმიტომ გზიდავ,
რომ ვირმა სიკეთე გადამიხადოს; არა, ძმაო, გუ-
ლი მეუბნება მოგეშველო, როცა გიჭირს და გე-
შველები. მაშ როგორ იქნება?

— ღმერთმა გადაგიხადოს ჩემ მაგიერი სიკე-
თე, ვსთხოვ ჩემის ცოდვილის პირით, ღმერთმა
გიშველოს. ირმებმა დაიწყეს საჭმლის ძებნა და

აქეთ-იქით სიარული. ხარ-ირემმა რქით ჩამოუნ-ტვრია რცხილისა და წიფლის ტოტები. ვირმა გემრიელს ნეკერს წისქვილივით ფქვა დაუწყო, მისი ხრამა-ხრუმი შორს ისმოდა. ირემმა ორიოდე სამი ფეხი მაყვალიც უპოვა, გადმოუქექა ფეხით და მიიწვია თავისი მეგობარი. ვირი ამასობაში კარგად გამოძღა და ცოტა ღონეც მიეცა. ფურმა ირემმა ხის ხავსი მოუტანა და დაუყარა წინ.

— შეექეც, ძმაო, ჩვენი ზამთარში მასაზრდოებელი ეს არის, ჩვენ ამითი ვსუქდებით, უთხრა ფურ-ირემმა.

— ღმერთმა გიშველოთ, მეც არ დავიწუნებ ამ მწვანე ხავსს. უთუოდ გემრიელი იქნება, სთქვა ვირმა და წაუსო იმასაც. ირმები დიდრონს ხეებს, სადამდინაც პირს მიუწვდენდენ, აცლიდნენ ხავსს და ისე შეექცეოდნენ, როგორც მწვანე ბალახს.

როცა კარგა გამოძღნენ და ცისკარმაც ამოა-შუქა, ირმებმა სთქვეს, დროა ვიმგზავროთო. ახლა მეორე ხარმა მოინდომა ვირის ზიდვა რქითა, მა-გრამ რქა-ბუდიანმა ფიქრი დაუწუნა, შენს რქაზე გვჯდებს იტკენს, შენ „რქა-ბიწალა“ ხარ, არც გაიმართება ზედო. ვირმა ფეხით სიარული მოინდომა ოღონდ გზა გაეკვალათ იმისთვის.

ირმები გაუძღვნენ წინ. ისინი მკერდით მიარ-ღვევდნენ თოვლსა და ვირიც უკან ჩანჩალით მი-სდევდა. ვირი მალე დაიღალა და რქა-ბუდიანს

ისევ რქით მოუნდა მისი ტარება. განთიადისას ერთს ჩაბნელებულს, დაბურულს ადგილას მივიდნენ, მაღალის მთის ძირში მიახწიეს. აქ ისეთი სიჩუმე იდგა, კოდალის ნისკარტის ჩქამიც-კი არსაიდამ ისმოდა. დიდრონი ხეები წვერებით ცას ებჯინებოდნენ, თავით ბოლომდე ხავსით და ფითრით დაბურულნი. დიდრონი მაყვლის ბუჩქები ერტყა იმათ გარშემო. თოვლი აქ ნაკლებ იდო, მაღლობი ადგილი იყო და თოვლი მალე დნებოდა, ბრძამი და ლელი, მაღლიდამ დაბლა ჩამოწოლილი, ხალიჩასავით ეფინა მთელს იმ ფერდას.

— თვალ-შავავ, ჰეი, თვალ-შავავ, დაიძახეს ირმებმა, ერთს ტაფობს რომ მიუახლოვდნენ.

— ვინ არი? მოისმა ხმა დიდრონ წამოქცეულ ჭანდრის გვერდზე მაყვლოვანიდამ და თანაც გამოჩნდა უზარ-მაზარი, მოშავ-ფერო ირემი. მისი დიდრონი ხავსიანი რქები ტყეს უსწორდებოდა.

— ჩვენა ვართ. უპასუხეს ირმებმა და მიეშურნენ თვალ-შავასთან.

— აი, ერთი ამხანაგიც ვიშოვნეთ, — მიახარეს, — მარტოობა აღარ შეგაწუხებს. ჩვენ მუდამ შენთან ვერ ვიქნებით და ესა გყავდეს. ეს პატრონისაგან მოძულებული, უთვისტომო, ობოლი ვირი, — უთხრეს ირმებმა.

თვალ-შავას ძალიან გაუხარდა, აქო ირმების ქველობა: ყოჩაღ, რომ შებრალება გამოგიჩენიათ

ამ საცოდავისთვის,—უთხრა მან.—ეხლა ჩვენ თი-
თონ ვიცით როგორც ვიცხოვრებთო.

თვალ-შავა თითონაც ხანში შესული დამძი-
მებული ხარ-ირმი იყო, იმას ბევრი ჩანჩალი
აღარ შეეძლო და ირმებმა ეს ბაღდადი კუთხე
უშველებელის ტყისა მიუჩინეს იმას საცხოვრებ-
ლად. სხვა ირმები ერთს ბეწვს ბალახსაც-კი არ
მოჰგლეჯდნენ ამ ადგილას. ისინი სხვა-და-სხვა ად-
გილებში სძოვდნენ, სხვაგან გამოდიოდნენ იოლად.
ეს ადგილი „დამძიმებულ“ ხართა საცხოვრებლად
იყო დანიშნული, საკმო საკმაო იყო აქ ზამთარ-
ზაფხულ და წყალიც. შიგვე „სალოკავებიც“ აქვე
მარჯვედ ჰქონდა. ირმებმა ერთმანეთი მოიკითხეს
და მერე ერთმანეთს განშორდნენ. დარჩნენ ერ-
თათ თვალ-შავა და ვირი.

— აი, ჩემო მეგობარო, ეს ადგილი მე და შენ
გვეკუთნის, რამდენიც გენებოს, იმდენი მიირთვი,
დამშლელი არავინაც არ არის,—უთხრა თვალ-შა-
ვამ თავის მეგობარს,—ბრძამი გნებავს, ლელი თუ
მაყვალი ან ხავსი, ყველა შენს ნებას არის.

— დიდი მადლობელი, შენი ჭირიმე, ჩემო
ბიძიავ,—სდქვა ვირმა,—დიდი მადლობელი, ღმერთ-
მა გიშველოთ, ღმერთმა დაგიხსნათ ყოველის ბო-
როტებისა და განსაცდელისაგან. ვხედავ, რომ ჩე-
მთვის არაფერი გშურთ, ხოლო ეს მაწუხებს, მე
დიდხანს აღარ ვიცოცხლებ, ჩემი დღე დათვლი-

ლია, ხანში შესული ვარ, ვაი თუ შენ[illegible] დაგაკ-
ლო საზრდო, შენ, რომელსაც სიცოცხლე გწა-
დიან და წლოვანებაც სიცოცხლის შესაფერი გაქვს.
თუნდ ესეც არ იყოს, მე [illegible]ციცვეს ვერ გადვურ-
ჩები, ზამთარში გარედ ყოფნას დაჩვეული არა ვარ.

— ნუ გეშინიან, მეგობარო, ერთს ჭირსაც
ვუწამლებთ და მეორესაც, შენ რამდენი წლისა
იქნები? ჰკითხა თვალ-შავამ.

— მე, ბიძიავ, ვარ სწორედ ოცის წლისა,
უპასუხა ვირმა.

— ოცი წელი რა სათქმელია, შე კაი კაცო,
მე ვიქნები ოთხმოცის წლისა, მაგრამ თუ მტერი
დაგვეცა, მე ხუთის წლის ირმებიც ვერ მისწრო-
ბენ წინ, სთქვა ირემმა.

— ეჰ, რას ბძანებ, შენი ჭირიმე?! — სთქვა ვირ-
მა, — თქვენი საქმე სხვაა, მე ჯაფამ დამაძაბუნა,
ჯაფამ, დიდმა ჯაფამ, დღე და ღამ ტვირთის ზი-
დვამა. სულ ჩაჟეჟილი ვარ. დამაწყობდა ჩემი პა-
ტრონი იმდენს შეშას, რომ ყურებისა და კუდის
მეტი აღარაფერი მიჩანდა და თანაც სახრით მი-
ბღარტუნებდა ფეხებში და თეძოებში. მე რაღა
მეშველება?.. სულ ტყუილია!

— საწყალო! ღმერთი მოწყალეა, ფიქრი არ
არის, სიცივე გაშინებს. მოდი აქ, უთხრა თვალ-
შავამ, მოდი და ჩემს ნაწოლში ჩაწექი. ვირი მი-
ვიდა და ჩაწვა ირმის ნაწოლს თოვლში, როგორც

აკვანში. მართლაც ისეთი სითბო იგრძნო, თითქოს კარგს თავლაში ყოფილიყოს დაბმული.

— ოჰ, მართლაც, რა კარგად, რა თბილათა ვარ, ბიძავ! — წამოიძახა ვირმა, — შენ სადღა უნდა დაწვე?

— მე ხომ გითხარი, გეშველება მეთქი! — სთქვა თვალ-შავამ; — მეც აი აქ შენს გვერდით დავწვები, ჩემთვის სხვა საწოლს გავიკეთებ და, როცა სიცივე იგრძნო, მითხარი, ნუ დამეხათრები, გადმოხვალ შენ ჩემს ახალს საწოლში, მე ისევ მანდ დავწვები; ასე, შენი საწოლი მუდამ თბილი იქნება.

ვირს გულში სიამოვნება, მადლობის გრძნობა აღეძრა და თვალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა.

— ღმერთო, შენ უშველე ჩემს მშველელთ, ღმერთო, ნუ ჩააგდებ ამათ შეუბრალებელის კაცის ხელში! ბუტბუტებდა ვირი თავისთვის.

— შენ რომ უძლურებასა სჩივი, ჩემო ძამიავ, — განაგრძო ირემმა, — მაგის წამალიც ჩვენს ხელთ არის ღვთით მაგასაც ვუშველით; ჩვენ, თუ გაგიგონია, ჩვენი პატრონი გვყავს, იმას ამ ადგილის დედა და ნადირთა პატრონი ჰქვიან: იმას მე ძალიან ვუყვარვარ, უსათუოდ კვირაში ერთხელ დამხედავს და მოსაღონიერებელს, გაახლების ბალახს მომიტანს. იმ ბალახიდამ შენც გიზიარებ. მაშინ გამოჩნდება, თუ შენ უძლური ხარ, თუ ირმები შენ გაგასწ-

რებენ, ჰნახავ, როგორ მოგემატოს ღონე როგორ ტანს აიყრი. ვირი სიხარულით და სიამოვნებით ცას ეწეოდა და სიხარულის ცრემლებსა ჰღვრიდა.

IV.

ვირი მას შემდეგ, რაც თვალ-შავასთან დაბინავდა, მუდამ მაძღარი იყო; სიცივე იმას არ უგრძვნია, მუდამ თბილს ირმის ნაწოლში იწვა, მაგრამ წელი, გვერდები და მენჯები მაინც სტკივოდა.

კვირა დღე გათენდა. თბილი მზიანი დღე გამოვიდა. ამ ორის მეგობრის სადგურის ფერდო ჩამოშრა; ის ლამაზი სანახავი იყო მაშინ, ბრძამით და ლელით დაფარული. დამაძღრები, თვალ-შავა და ვირი, გვერდის-გვერდ იწვნენ. ფოთლის შრიალი შემოესმათ. თვალ-შავამ ყურები აცქვიტა, ხოლო ვირი-კი თავდაკიდებით იწვა, ღრმა ფიქრებში გართული.

მაყვლოვანის გვერდზე გამოჩნდა ნელის ნაბიჯით, როგორც აჩრდილი, ლამაზი, პატარა ქალი. გაშლილი შავი თმა ღრუბელივით ედო ტანზე. მარცხენა ხელში პატარა ბალახის კონა ეპყრა თვალ-შავა, რა წამსაც-კი დაინახა თავისი პატრონი, მაშინათვე ფეხზე წამოდგა და გაიზმორა. კისერი მაღლა აიწოდა და თავისი დიდრონი ხავსიანი რქები ჰანდრის ტოტებს მიაბჯინა.

ვირი ისევ ისე იწვა, თავ-დაკიდებული. ის ვერაფერსა ჰგრძნობდა და ვერცა რასა ჰხედავდა.

ქალი სიხარულით პირ-განათებული მიესალმა თვალ-შავას. ირემმა თავი დაბლა დაუღო, ყელ-ყურში ფხანა დაუწყო ქალმა.

— როგორა ხარ, ჩემო სილაღევ? — ჰკითხა მან ირემსა, — აი ბალახიც მოგიტანე.

— კარგადა ვარ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო დედავ, — უპასუხა ირემმა, — მაგრამ ცოტა რამ სადარდო საქმე გამიხდა.

— ეგ ამხანაგი ვინ ვიშოვნია? ჰკითხა კვლავ ადგილის დედამ.

— ეგ არის კიდეც ჩემი სადარდო. ეგ ერთი საწყალი ვირია, ჩემო სიცოცხლევ, პატრონისაგან მოძულებული. ჩვენს ირმებს ეპოვათ მინდორში და აქ წამოეყვანათ. ჩვენ შემოგვეხიზნა საცოდავი, უღონო, უსულ-ჯანო, დაბეგვილ-დაბეჟილი. განა არ იცი, ადამიანის ხელში რა ხეირსა ჰნახავდა?!..

— ვიცი, ვიცი, საწყალი ცხოველი, — სთქვა ქალმა, — შებრალება, შეწყნარება გვმართებს, ჩემო თვალ-შავავ, მაშ როგორ იქნება?!.

— ადე, ძმობილო, ხომ არ დაგეძინა? ადე, ჩვენი პატრონი მოგვივიდა, უთხრა თვალ-შავამ თავის მეგობარს.

ვირმა ეხლა ძლივს გამოიფხიზლა და ყურე-

ბის ბღარტუნით წამოდგა. ქალის დანახვა ცოტად არ ეჭაშნიკა, რადგან იმასაც ადამიანის სახე ჰქონდა. ადამიანის დანახვა ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა საბრალოს. დადგა მის წინ თავ-დაკიდებული.

— რად შემომხედე, მეგობარო, უგემურად? ნუ გეშინიან, მე შენ არ შეგკმაზავ და არ გაჯაფებ, უთხრა ნადირთა პატრონმა დაღონებულ ვირს.

— ეხლა იმას გეხვეწები, ჩვენო სულის ჩამდგმელო,—სთქვა თვალ-შავამ, – ცოტა მაგ ბალახიდამ, ჩემთვის რო მოგიტანია, ამ საბრალოსაც უზიარო. დაე, მე დამაკლდეს, ოღონდ ეს მოღონიერდეს.

— ძალიან კარგი, —სთქვა პატარა ქალმა,—აი გაიყავით, ხვალ კიდევ გნახავთ და ბალახსაც ბლომად მოგიტანთ; შევიბრალოთ ეგეც, დღეს ჩვენია, ჩვენის ადგილის შვილად დაწერილი, ჩვენმა ადგილმა უნდა შეინახოს. ქალმა ბალახი ორსავე დაუყარა. თითონ ჩამოჯდა მწვანე ბრძამზე, ამოიკვნესა და თვალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა.

— რადა სტირი, თავს შემოგევლე? ჰკითხა თვალ-შავამ ადგილის დედას. მისი ცრემლები რო ნახა, პირში ბალახი გაუხმა.

— წელან ვერ გითხარი თვალ-შავავ, ვითომ უნდა დამემალა შენთვის, მაგრამ დამალვით რა იქნება, შენ მაინც გაიგებდი ადრე თუ გვიან: ლალა მოგვიკლეს გუშინ მონადირეებმა.

თვალ-შავაც ატირდა, ამ სიტყვის თქმაზე ბ-ა. ლახის ჭამას თავი დაანება და მწარედ ოხვრა-კვნესა დაიწყო.

— რა ამბავია? — იკითხა ვირმა, — ვინ ლაღა მოუკლავთ?

— შენ რომ რქით მოგიტანა, მეგობარო, ის მოუკლავთ, მიუგო თვალ-შავამ.

ვირმა მორთო ქვითინი, ერთ ადგილას ვეღარ დგებოდა, დამტვრეულის მენჯებით აქეთ-იქით დაიწყო ხანხალი და „ვაჰმე ძმაო,“ „ვაჰმე ჩემო სიცოცხლის მომნიჭებელო“-ვო, მოსთქვამდა...

ქალი გამოეთხოვა ორსავე და წავიდა ტირილით. ვირმა და თვალ-შავამ დიდხანს იტირეს, იგლოვეს ლაღა, საღამომდე აღარაფერი უჭამიათ. პატრონის მოტანილი ბალახიც ისე ეყარათ წინ. ირემი სწყევლიდა ადამიანის შეუბრალებლობას. იმან უამბო ვირს თავის თავს-გადასავალიც. ცხრაათგან აჩვენა ტანზე ნაისრალები. საღამომდე ასე მწარედ გაატარეს დღე, საღამო ხანზედ-კი შეექცნენ ბალახს. ვირმა, როგორც ეს ბალახი შესჭამა, სრულიად სხვა ტყავი და ხორცი შეისხა. აღარაფერს ტკივილს არა გრძნობდა, ერთბაშად გამოიცვალა. ვირი უსაზღვრო სიხარულში იყო.

V.

ნადირთა პატრონი სიახლის ბალახს გაზაფ-ხულამდე უზიდავდა ვირსა და თვალ-შავას. ვირი ისე გასუქდა, რომ ტყავში აღარ ეტევოდა, ტანიც ერთი-ორად მოიმატა. ირმებთან ერთად ისიც და-ნავარდობდა. თითქმის გადაავიწყდა, თუ ის ვირი იყო, თავი ირემი ეგონა. ხშირად დამაძღრები მწვა-ნის ბალახით, ნამარილევები, ისა და თვალ-შავა ერთმანეთსა ლოკავდნენ. ძლიერ შეუყვარდათ ერთმანეთი.

გაზაფხული დადგა, ამწვანდა' მთელი არე მა-რე, საქმელ-სანოვაგემ იმატა. დედამიწამ უხვად მიაწოდა საზრდო. ვირი ჰმადლობდა ღმერთს, რომ მან იგი ამისთანა ბედნიერებაში ჩააგდო. ხან-და-ხან მოაგონდებოდა თავისი წარსული და ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა. მოაგონდებოდა ლაღა, რქით რომ ატარა, და ცრემლები მოუვიდოდა თვა-ლებზე. ებრალებოდა თავისი მონათესავე ვირები, რომ კაცის ხელში იტანჯებოდნენ და ცდილობ-და როგორმე ისინიც დაესხნა ტანჯვა-წვალებიდამ და გამოეწვია ველად, მაგრამ არ შეეძლო. წას-ვლით ვერ წავიდოდა, ეშინოდა კაცს არ ჩავარ-დნოდა ხელში, წერა არ იცოდა, რომ წერილით მაინც შეეტყობინებინა იმათთვის მათი უგუნურე-ბა. იყო ასე ორს წყალ შუა დარჩენილი

ზაფხულიც დადგა. ვირს ბალანი გამოეცვალა. ირმების ფერი დასცემდა. თუმცა, რასაკვირველია, იმათგან განირჩეოდა. მარტო იმ ადგილას, სადაც კეხისა და ჯოხისაგან დაბეჟილი ტყავი ჰქონდა, იქ მოთეთრო ბალანი ამოუვიდა. ეს ვირს ძლიერ უხდებოდა. მისი ბალანი ეხლა სრულიად სხვა იყო, ვიდრე მაშინ, როცა ის ადამიანის ხელსა და პირს შესცქეროდა. ხოლო დარჩა დაღი ერთს ბარკალზე. ბარკალზე დაღად „ს“ იყო გამოხატული, რაიცა ჰნიშნავდა „სოლომონს“, მის უწინდელს პატრონს. არ იქნა და არა „ს“ არ ამოიშალა, ეხლა ის წითლის ბალნით იყო დაწერილი და ამ დაღით გაირმებული ვირი დასეირნობდა მთასა და ბარს თავისუფლად. ვირმა გულზე ქონი მოიკრა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ. ხან-და-ხან ყინი მოუვლიდა და წამოიყროყინებდა, მაგრამ რა წამს ენას დასძრავდა, თუ თვალ-შავა იქ იყო, დაუშლიდა.

— რა გაუვირებს, კაცო,—ეტყოდა,—გაგონილა, კაცო, მტერს ეძახოდეს ჭკვათა მყოფელი ადამიანი, მოდი, აქა ვარ, მომკალიო?

— მაშ ხარ-ირმებმა რადღა იცით ყვირილი შემოდგომით! მიუგებდა ვირი თავ-მომწონედ.

— ჩვენ რომ ვყვირით, მაშინ ვნებათაგან თვალ-აბმულები და ჭკუა-დაბნეულები ვართ, ჩემო კარგო!

— მე რაღა ჭკვიანი ბგონივარ! ხომ ხედავ, ტყავი ხორცზე მასკდება. გული მემღერება; მაშ რა ვქნა, არ დავიყვირო? ეტყოდა ვირი თავმომწონედ და ორნივე სიცილს ასტეხდნენ. ერთხელ ამნაირი თავის შემაქცევარი გალობა კინაღამ ძვირად დაუჯდა ვირს. ერთს ბექობზე გადამდგარი საღამოს ნიავით გულს იგრილებდა და სიამოვნებდა. ყროყინი მოუნდა და შეჰყვირა კიდეც. ქვეით ხევში მევირეები ყოფილიყვნენ. ვირის ყროყინი გაიგონეს და გაეშურნენ იქითკენ. თითონ სოლომონიც, ძველი მისი პატრონი, იმათში ერია. კარგი რომ თვალით ვერ დაინახეს, თორემ თავს რაღას დაანებებდნენ. ვირმა გროვაში თავის ძველი პატრონი იცნო და ნაპერწკალივით გაჰქრა იმ ადგილიდამ. მევირეებმა კვალი ვერ იპოვნეს და უკანვე დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ ეგ უპატრონო არ იქნება, თავისი პატრონი ეყოლებაო.

VI

ვირი მაინც ვერ გადურჩა უბედურებას. სოფელში ხმა დავარდა, რომ, ღმერთმანი, ტყეში ერთი გარეული ცხენი გაჩნდაო, ჯორის ფეხები აქვსო. ამ ხმამ ხელმწიფემდე მიაწია. იმან მაშინვე შეყარა თავისი ჯარი, თავის ქვეშევრდომნი და ვეზირებს უბრძანა, რომ თოკები გაებათ. მექამანდეებიც

მრავალი გამოგზავნა. უბრძანა: ან შეიპყარით ის გარეული ცხენი და აქ მომიყვანეთ, ან არა და თქვენც იმასთან ერთად გადიკარვენით, თვალით აღარ მეჩვენოთო!

ხალხი, სადაც ეს გარეული ცხენი ეგულებოდათ, სადაც ხშირად ენახათ, იმ ადგილს შემოერტყა. ტყის გარშემო ალყა გაავლეს, ყველას თოკები ჰქონდათ გაბმული, მექამანდეები შუა გულს ტყისას მისდევდნენ, რომ ერთს-მეორეზედ შეეგდო და ქამანდებში გაებათ გარეული ცხენი.

მართლაც, მეფის გაგზავნილი კაცები თუმცა ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ვირი მაინც და მაინც შეიპყრეს. იქ ერთმა კაცმა მეორეს უთხრა: „სეხნიავ, ერთი უცქირე, როგორ სულ ჩვენებიანთ სოლომონას ვირსა ჰგავსო.“

თვალ-შავა-კი წაუვიდათ, რის გამო ფრიად გულ-ნაკლულად დარჩნენ. ეს „გარეული ცხენი“ გაბაწრული მოიყვანეს მეფესთან. გზა-გზა ვირი გულში სტიროდა თავის დატყვევებას, იცოდა რაც მოელოდა კაცის ხელში, მაგრამ რა გაეწყობოდა უნდა დაჰმორჩილებოდა თავის მწარე ყოფას.

მეფემ, რა დაინახა თავისი საფერხე, მეტის-მეტად გაუხარდა. იმავე დღეს უნაგირი დაადგა და საუკეთესო მხედრებს უბრძანა გაეხედნათ. ვირი ხალხს ისე აჩვენებდა თავს, ვითომც უნაგირი ჯერ არ ენახა და ყალხზე დგებოდა, ფრთხებოდა,

ფრუტუნებდა. შეჯდომაში ხომ თითქმის არავინ გაიკარა ახლოს, რის გამოც, მეტი ღონე არ იყო უნდა ფეხები გაეკრათ და ჯერ ისე შემსხდარიყვნენ მხედრები. ვირი-კი გულში იცინოდა, ამბობდა: „ამ უტვინოებს ჰგონიათ, უნაგირის ხამი ვიყო!.,

მეფე ფრიად კმაყოფილი დარჩა, რომ მისი მერანი ადვილად გაიხედნა. გაუხარდა ის ამბავიც, როცა უამბეს, რომ სადაც ეს ცხენი შევიპყარით, იქვე ერთი უზარ-მაზარი ხარი ირემი ვნახეთო და დააპირა ერთის კვირის შემდეგ სანადიროდ წასვლა თავის მერნით. უბრძანა მომზადება მონადირეებს დანიშნულის დროსთვის.

გაიარა ერთმა კვირამ. მეფე თავის ამალით, ქორ-მეძებრებით გაემგზავრა სანადიროდ დანიშნულ ტყეში. გაუშვეს ძაღლები ტყეში. შეჰყვა თან მრეკავი. მეფემ ერთი გეზი ამოირჩია და თავის გარეულის ცხენით იმ გეზზე დაადგა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ძაღლებმა ყეფა ასტეხეს უღრანს ტყეში. მოისმა გრიალი. მეფემ ნახა რომ უზარ-მაზარი ირემი მირბოდა იმისკენ. ვირმა მაშინვე იცნო თავისი მეგობარი და გაიქცა გულში, ეშველა მისთვის. ირემმა მტერი ვერ შენიშნა და თვალ-დაფეთებული, ყელ-მოღერებული წაადგა თავზე. ხსნა მისი აღარსაიდამ იყო. მეფეს დაჭიმული მშვილდი ეჭირა და ჰლამობდა ეტყორცნა

ისარი. ამ დროს ვირი შემოტრიალდა გვერდზე და ისარი ასცდა ოვალ-შავას. მეფის გული აღელვდა. ირემმა თავს უშველა. გაჯავრებული მეფე პირიდამ ცეცხლსა ჰყრიდა. გადმოხტა ცხენიდამ და იძრო ხმალი, —უნდოდა აეკუწნა ვირი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა. ჯერ ხამიაო, იფიქრა, ბოლოს და ბოლოს ეს მარცხი აღარ მოუვაო. მაგრამ მაინც უბრძანა თავის მხლებლებს, რომ მისი საფერხე კარგათ გაეწკეპლათ, ჭკვაზე მოეყვანათ. ვირი მართლაც ძალიან გაწკიპეს. სიმწვავისაგან რამდენჯერმე განიზრახა დაეყვირნა, მაგრამ თანაც თავის თავის გამოაშკარავება აშინებდა; ვაი თუ გაიგონ, ვინც ვარ და შეშის ზიდვით წელი მომწყვიტონო, იფიქრა.

შინ რომ დაბრუნდნენ, მეფემ უბრძანა, რომ სამი დღე და ღამე მისი მერანი უსმელ-უჭმელი ყმყოფინათ. ვირმა ტანჯვით გამოიარა ეს სასჯელი, მაგრამ უხაროდა, რომ თავისი მეგობარი, თავისი მსხნელი გადაარჩინა სიკვდილს. ეხლა თუნდა მოვკვდეო, ამბობდა ვირი, რაკი მისი სიკეთის გადახდა შევიძელიო.

VII.

იმ ქვეყანაში მეფემ გამოსცა კანონი, რომ ვინც ოთხ-ფეხს ცხოველს მიაყენებდა უზომო ჯა-

ფას, უზომო საპალნეს აჰკიდებდა, უზომოდ დაუ-
დებდა ურემზე საპალნეს, უნდა დაესაჯათ შემდე-
გის სასჯელით: გამოაბამდნენ მეფის ცხენს კუდზე
და ისე დააგლეჯინებდნენ

მეფის კაცთ ერთხელ შეიპყრეს ქუჩაში ერთი
მევირე. უზომოდ ბევრი შეშა აეკიდა ვირისთვის,
რის გამოც ვირი წაქცეულიყო. პატრონი სცემდა
თავსა და პირში, მაგრამ ვირი მაინც ველარა დგე-
ბოდა ფეხზე, თუმცა-კი ცდილობდა ამდგარიყო,
ბევრსაცა ხვნეშოდა და კვნესოდა: ვირის პატრონი
მაშინვე შეიპყრეს და წარუდგინეს მეფეს. მეფემ მა-
შინვე უბრძანა, რომ მოგბათ იმის ცხენისთვის კუდ-
ზე ეს ახირებული ადამიანი. მეფის სასახლე დიდის
მდინარის პირზე იდგა და წინ დიდი რიყე იყო.
„მერანი“ ზედ იმ რიყეზე უნდა გაეშვათ და დამნა-
შავე იმ ლოდებზე უნდა დაეფლეთინათ ცხენისა-
თვის,

გამოიყვანეს ვირი თავლიდამ. თვალებს იქით-
აქეთ აფეთებდა, ისე იყო ნაკვები. დამნაშავე მე-
ვირე დააშტერდა მეფის საფერხეს, ბარკალზედაც
დააცქერდა და პირჯვრის წერა დაიწყო განცვი-
ფრებულმა. ამ განცვიფრებას ვერავინ მიუხვდა.
ყველამ ეს იფიქრა: პირჯვარს იმიტომ იწერს,
რომ უკანასკნელს დღეშია და ღმერთს ევედრება,
ჩემი სული კეთილად შეიწირეო. იმათ რა იცოდ-
ნენ, თუ პატრონმა თავისი ვირი იცნო და იმის

ბარკალზე თავის სახელი „სოლომანი“ წაიკითხა. რაღა იქნებოდა, მევირე მოაბეს მეფის გარეულს ცხენს კუდზე და გაანებეს თავი.

— ჩემო მერანო, ჩემო საყვარელო ვირო, განა ისე გამიმეტებ, რომ მომკლაო! უთხრა სოლომანმა თავის მოძულებულს ვირს ჩუმად.

— განა შენსავით უნამუსო ვარო, მიუგო ვირმა და ძუნძულით წავიდა, ისე რომ სახეც არ დაჰკაწვრია დამნაშავე მევირეს. წყალს რო მიუახლოვდა, იშვირა ფეხები და გაჰყვა მდინარეს. სოლომანი ვირის კუდზე ხელ-მოჭიდებული ისე არხეინად მიდიოდა, რომ სიამოვნებაც იგრძნო, განაღამც ტანის წეწვა-გლეჯა. ვირმა თავის ნაპატრონალი გააცილა კარგა შორს მეფის სატახტო ქალაქს და გაიყვანა ნაპირს, მშრალზე.

— წადი, ეხლა თავს უშველეო,—უთხრა და მოიხსნა კუდიდამ:—წადი და იმას მაინც ნუ დასტანჯავ, ვინც ჩემი მოადგილე გყავსო.

— ოი, შენ კი გენაცვალე, ჩემო მერანო,— ეუბნებოდა სოლომანი,—განა თავი უნდა დამანებო? შენ ხომ ჩემი ხარ! ღმერთს გეფიცები, იმდენს საპალნეს, წინად რომ გკიდებდი, ეხლა მე შენ აღარ აგკიდებ.

— ჰაი, შე უნამუსოვ, შენა, კიდეც საპალნის, შეშის ზიდვისთვის მიფრთხილდებიო,—უპასუხა ვირმა გულ-მოსულმა და მიაფურთხა სახეში ისე

ძლიერად, რომ სოლომანი უგრძნობლად დაეცა მიწაზე თითონ-კი გაჰკურცხლა ისევ ტყისკენ,

მეფე და მისი ნაზირ-ვეზირნი დიდად გაკვირვებულნი დარჩნენ მეფის ცხენის საქციელით.

მაშინვე კაცები აფრინეს, რათა მიჰყოლოდნენ მდინარეს და გაეგოთ დაწვრილებით, რას იზამდა ან „ცხენი“, ან მის კუდზე მობმული მევირე.

მოვიდნენ, იპოვნეს კაცი უგრძნობლად მდებარე. ხოლო მეფის მერანს კი კვალიც ვერ მოუკვლიეს.

როგორც იყო, გონს მოიყვანეს, მოასულიერეს ძველი ვირის პატრონი სოლომანი და მიიყვანეს მეფესთან. სოლომანს გზაში ვირის ნაფურთხალი დაუწყლულდა, ისე რომ საზარელს მუნად გადაექცა. მეფემ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა ვირის პატრონს და იმანაც, ღვთისა წინაშე, დაწვრილებით უამბო ვირის და თავის ამბავი. აუხსნა, რისთვისაც იწერდა პირჯვარს, როცა მეფის ცხენს კუდზე აბამდნენ, და განმარტა, რომ ვირმა მომაფურთხა და ეს ფურთხი სშინელს წყლულად გადამექცა მთელს პირისახეზეო. მეფე განცვიფრდა. ეს წყლული სოლომანს მთელს სიცოცხლეში წყლულად დაჰრჩა: ვერა ექიმმა, ვერა წამალმა ვერ უშველა. მეფემ შეიწყალა მევირე, რადგან ეს „სასწაული“ მის თავზე მოხდა და თვითონ კი მიიწვია ყველა მწიგნობარნი, მოგვნი

და ბრძენნი, რათა გამოეძიათ, ეს ამბავი რას მოასწავებდა. ასახსნელი იყო შემდეგი საკითხები:

1) როგორ მოხდა რომ ვირი, პატრონისაგან მოძულებული, შუა ზამთარში, შუა მინდორში თავ-განებებული, გადაურჩათ შეუპმელი მგლებს და ირმებს ჩაუვარდათ ხელში.

2) რამ შეინახა ზამთარში, რომ სიცივემ არ მოჰკლა და ან როგორ გაჰყვა ირმებს თან.

3) რამ მისცა ვირს ძალ-ღონე და რამ დაამზგავსა ირემს, გარეულს რაშს და რამ მოუმატა ტანი.

4) როგორ მოხდა, რომ ვირი ცხენად მოეჩვენათ და თვითონ მეფემაც კი ვერ შეიტყო, თუ ის შინაური ვირი იყო, გაგარეულებული.

5) რად შეიწყნარა ვირმა თავისი პატრონი და არ დაგლიჯა, რადგანაც მისგან ბევრი ნაწყენობა მოაგონდებოდა.

და 6) რად გადაიქცა ვირის ფურთხი მოურჩენელს წყლულად.

შემოკრბენ ყოველ მხრიდამ კაცნი ბრძენნი და მეცნიერნი; იძიეს, იკვლიეს საქმე, მაგრამ ვერაფერი გამოიკვლიეს, ვერც თავი უპოვნეს და ვერც ბოლო, საიდამ მოხდა ასეთი საკვირველი საქმე. ბოლოს დაასკვნეს, რომ ეს ამბავი ქვეყნის დასასრულს მოასწავებსო, დღე-დღეზედ წარღვნა მოვაო.

ამცნეს ეს ამბავი მთელს ქვეყანას და ამასთან ერთად დიდის გულის ტკივილით მოელოდნენ ქვეყნის წარღვნა-წალეკვას, მაგრამ ისე დაბერდნენ და დაიხოცნენ, რომ არცარა წარღვნა მოხდა, არცარა გადარღვნა დღეს აქამომდე, ასე რომ ამ ამბავმა ჩვენამდის ცხოვლად მოაღწია.



ს ვ ა ვ ი

I.

ბაფხული იყო. მთა მწვანობდა. მაღლა მწვერვალებზე-ღა მოჩანდა თოვლი, დაბლა ხევებში ზვავი. მწყემსებს გაერეკათ მთაში საზაფხულოდ ცხვარი და ძროხა, მაგრამ ბედს ემდურودნენ: ჭირი გაჩნდა, აუარებელი ცხვარი და ძროხა ილეოდა, იღუპებოდა; გატყავებას ვეღარ ასწრბოდნენ; მრავალს წყლის ნაკადულებს სისხლის რუები მიმატებოდათ. ხევებში ზვავებზე, ბინების, ფარეხების გარშემო ოხრათ ეყარა მძოვრი. ფრინველთ და ნადირთ სანატრელი დრო დაუდგათ: ფარფაშობდნენ უზარმაზარი სვავები, ყაჯირები, ორბები, ყვავ-ყორნები; დამაძღრები, ლეშით გათოშილები იქვე ახლო-მახლო კლდეებზედ სხდებოდნენ, ფეხებით, ფრთით თან მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდნენ კლდის დეკას, ქუჩს, ურძნიანებს. (მთის მცენარეებია.)

II.

ერთი გამაძღარი სვავი კლდის თავზე იჯდა. სიმაძღრით ძლივს-ღა ქშინავდა, მაგრამ თვალებს უფრო მამაცად ატრიალბდა და სულ-ხარ-

ბათ დასჩერებოდა უფსკრულში ლეშის გროვას.— ხა, ხა, ხა!—თქვა მან სიცილით ბოლოს,—უყურე, აბა, უყურე იმ ბრიყვს, იმ საცოდავს, იმ მატლს, იმ ბეჩავს! ნეტავი ერთი ლუკმა მაინც გამოვიდოდეს და მერე ეთქვა ჩემზე აუგი სიტყვა, მერე დავეძრახე. ღმერთმა შემარცხვინოს, სასწორზე აგვწონეთ, ძმაო, თუ ორი ათასი ბულბული არ ავიწონო. ჰაერში რომ შევინავარდებ, გავშლი განზე მხრებს, ათასი ვერსიდამაც კი დამინახავს ადამიანის თვალი და იმ მლიკვს, თუ თავს არ წაადეგ, ვერც კი დაინახავ თვალით; მფრინავი არავის უნახავს, თურმე ჯაგებში, ბარდებში ძვრება და რაღაცას ეღურტულებს და ამისათვის აქებენ, ეღურტულებს თურმე მძინარა, თვალებ-დახუჭული. ჩემი თვალების ტოლა არც კი არის, რომლებიც არა დროს არ მეხუჭებ• და მუდამ მზათ მიჭირავს საჭმლის და მძოვრისკენ. ის კი ეღურტულებს და ეღურტულებს, საჭმელ-სასმელი არც კი აგონდება და თანაც ჩემს წყევლა-კრულვას დასძახის არე-მარეს...

— „ყრაანტ, ყრაანტ“!—მოისმოდა. სვავისკენ მოსეირნობდა შავი ყორანი. ჯერ გაეთამაშგამოეთამაშა გულ-ზვიადათ მჯდომარე სვავს, ფრთაც გაუტყლაშუნა ფრთაზე, უნდოდა ზეზე წამოეგდო, მაგრამ სიმაძღრით დამძიმებული სვავი რომ ვერ

დასძრა ადგილიდან, მის გვერდით შორი-ახლო დაეშვა და ჩამოჯდა კლდეზედ.

— ყორანავ, ყორანავ!—მიუბრუნდა სვავი ყორანს და მედიდურის კილოთი დაუწყო კითხვა:— როგორაო? რას მიამბობდი იმ დღეს ბულბულზე, ლამაზათ მღეროდაო? ნეტავი მეც ბულბულათ მაქციაო?! უჰკუოვ, უტვინოვ!

— ჰო, იმასვე გიამბობ, რაც მიამბია შენთვის: მისი მღერა არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში და არ დაიჯერებ მისი სიმღერის გაგონება აგერ იმ ლეშის გროვასაც კი მირჩევნია.

— აბა როგორ იყო, როგორ? მიამბე! დაეკითხა კვლავ სვავი.

— მშვენივრათ გალობდა, მშვენივრათ! რამდენჯერ გავმაძღარვარ ლეშით, სხვა-და-სხვა ცხოვლისა თუ ფრინველის ხორცით, ჩემს სიცოცხლეში ისეთი სიამოვნების წამი არ გამომივლია; მაშინ კი, როცა ბულბულის მღერას ვუგდებდი ყურს, ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი ძგარა-ძგური, ხმაურობა თითონ მევე კარგათ მესმოდა. მთელი ღამე არ დამდგარა, არ დაუსვენია. მთელი ჭალა იყო და ის.

— შენ ღამე ჭალაში რა გინდოდა? ამბობდა სვავი გაჯავრებით.

— მინამ მთაში ლეში გაჩნდებოდა, ბარად დავდიოდი სადავლოთ. სანოვაგეს, ღვთის წინაშე,

ბევრსაცა ვხვდებოდი. დამეზარა მთაში წამოსვლა და ერთი ღამე ჭალაში ვათიე ერთ უზარ-მაზარ ბოკვზე. იმ ღამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია და იქნება კიდევ ვეღირსო ბულბულის ხმის გაგონებას. ამაღამაც იქნება წავიდე, აღარა მშია და არაფერი. წავალ, დავჯდები იმავე ბოკვზე და დავუგდებ ყურსა, დილაზე კი აქვე გიახლებით. იმავე ხეზე, მეორე ტოტზე ყვავი იჯდა. თუმცა უგუნებოდ ბრძანდებოდა, მაგრამ თვითეულს სიტყვას ის მითარგმნიდა; მე მხოლოდ ხმა მომწონდა, სიტყვები კი არ მესმოდა. ყვავს ბულბულის ენა კარგა სცოდნოდა და დაწვრილებით მითარგმნიდა. განა არ იცი, ზამთარ-ზაფხულ ბარათა გდია და ადვილათ შეისწავლიდა.

— რას გითარგმნიდა, რატომ მეც არ მეტყვი? თქვა კვლავ სვავმა.

— ბევრს რასმე, ვინ მოსთვლის! ყველა ვერ დავისწავლე,—უთხრა მას ყორანმა.—ცოტა რამ კი მახსოვს, აი თურმე რასა მღერის ბულბული: „ამოდით ყვავილნო, შვენიერნო, ტურფანო, დედა-მიწის ანგელოზნო, თქვენ დაგედევით მტლეთ, თქვენ გენაცვალეთ. უთქვენოდ ღმერთმა ნუ მომცეს ერთის დღის სიცოცხლე, თქვენა ხართ, თქვენა ჩემი სიცოცხლე. ტყეო, დედა-მიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლით და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰლალობდე და მე საბრალო

შენი მგოსანი გიმღერდე, ვაქებ-ვადიდებდე შენს შვენებას, შენს შემოქმედს. უმანკოება შენი ნუმც შეიბღალება, რაიმე ცოდვით, რომ არ მატირო მწარეთ, გული არ დამიდაგო!

„წყარონო, წმინდათ, ანკარათ მდინარნო! რძეთ გადენსთ ბუნება, რათა ყველა ცხოველს მოუკლათ წყურვილი, დასაჭკნობ-გაახმობად გამზადებულნი მცენარენი მორწყოთ, გაახაროთ, გაანედლოთ, თავი მაღლა ააღებინოთ; ნუ დაივიწყებთ, თქვენი ჭირიმე, უკანასკნელს მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე წყურია. ნურც დაიშრიტებით: იდინეთ იწანწკარეთ. თქვენ რომ გხედავთ, ჩემს გულში წმინდა გრძნობა და დიადი სიყვარული თქვენსავითა წანწკარებს. უფალო, ღმერთო, აკურთხე წყარონი, აკურთხე ყვავილნი, დამილოცე ტყე, თქვენს მადლს და დიდებას ვეთაყვანე.

„მზეო, ყოველის არსის ნუგეშო, გაათბე, გააბარე ყველა შენის მადლიანის სხივით, ხოლო ნუ დასწვავ, ნუ დაჭგვალავ, ნუ გააფუჭებ კაცის და ბუნების მარჯვენის ამაგს; შენ, ნიავო ციურო, მოეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე. „ძალნო ბუნებისანო, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი: აგერ სოფლები, აგერ ქოხები, იქვე ობლები, უბადრუკნი, ბეჩავნი ტირიან. მიეშველეთ, მტირალი გაა-

ცინეთ, მშიერი გააძღეთ, თქვენს ძალასა ჴ მადლსა!.. ახ საბრალონი! რამდენი ტირის, რამდენი ოხრავს და იმათი ცრემლი კი ჩემს გულში ზღვასავითა გუბდება, მე სულს მიხუთავს, სიცოცხლეს მიწამლავს.

„რამდენი მწყემსი ტირის და იმათ სარჩოს ითრევენ სვავნი და ყორანნი, უმსგავსნი, უმადლო უკეთურნი ფრინველნი, სხვისა ცრემლით თავის მასაზრდოვებელნი, სხვის საფლავზე მოკიჟინენი. მზარავს და მშხამავს იმათი მოგონება“. და სხვადა-სხვა.

— რაო? სვავნი და ყორანნიო? —სთქვა სვავმა მრისხანედ:—იმისმა მზემ, სვავი და ყორანი იმისი ცალი და ანათალი არიან, იმასავით მარტო ჟღურტულებენ და-ვერ სიამოვნებენ ამ წუთისოფლის სიამოვნებით. რა ღმერთი გაგიწყრა, რომ მაშინვე არ გადაუხტი და თავი არ გაუჩეჩქვე იმ წუწკს, იმ უბადრუკს იმას; იმდენს ვალაპარაკებდი განა ჩემს თავზე, მე რომი ქა ვყოფილვიყავი?!, არამი არ იქნებოდა მაშინ ჩემი სიცოცხლე ჩემს თავზე, თუ მაშინვე არ გავგლეჯდი შუაზე?

ეგრე პირდაპირ რომ ეთქვა მშრალის სიტყვით, მეც ბარემ იმას ვუზამდი, მაგრამ ისე ლამაზათ, მოხდენით ამბობდა, რომ გავშეშდი, კლანჭები ხის ტოტზე მიმეწება, ნისკარტი გამიშეშდა; დამამონა. დამაუძლურა. დარწმუნებული ვარ, შენ

რომ ყოფილიყავი ჩემს ალაგას, ხმას ვერ ამოიღებდი, კრინტსაც ვერ დასძრავდი. გავგლეჯდი კი არა, დღეს საღამოსაც იქვე უნდა წავიდე და კიდევ მოვისმინო ბულბულის მღერა და, თუ გნებავს, შენც წამობრძანდი, შენ ამოიყარე იმისი ჯავრი. ადვილია მისი მოკვლა, მისი დაჭერა. თვალ-დახუჭული გალობს მუდამ; დილით მე თითონაც ვნახე, თვალები ეხუჭა და ისე მოსთქვამდა.

— მე წამოვალ,—სთქვა სვავმა—და ავ დღესაც დავაწევ, გიჩვენებ იმის სეირს.

— აი ვნახოთ, მომყე, მაშ წავიდეთ. — სთქვა ყორანმა.—„ყრაააანტ,“ გაისმა, ყორანი აფრინდა და მასთან ალახლახდა სვავიც და გასწიეს ერთად.

III.

16 შირ-ბინდმა დაჰკრა, როცა დიდს ჭალაში, დიდს ბოკვზე ორნივე, ყორანი და სვავი, ჩაეშვნენ, დალაგდნენ მძიმედ და არხეინათ დაიკეცეს მხრები.

კარგა დაღამდა. ყორანი თვალ-გაფაციცებული, ყელ-მოღერებული, მოუთმენლად ელოდა ბულბულის აჩქამებას. სვავს კი უმსგავსათ ჩამოეშვა ჩინჩახვი, მოეკუმა ნისკარტი, გაეფართხა მხრები და თეთრს ტომარასავით იდვა ბოკვის ტოტზე.

— რატომ არ გალობს, სად ჯანაბას წასულა

ის უმსგავსი, ოხერი?—სთქვა ბოლო დროს სვავმა, —დაუყვირე მაინც, რომ ხმა ამოიღოს.

— მოითმინე, ცოტა ხანს, მოითმინე,—უპასუხა ყორანმა,—მე რომ დავიყვირო რას გავაგონებ და, ვინ იცის, ძალ-დატანებით იმღერებს კი?!.

ცოტა ხანმა გაიარა და ჯერ თითქოს კვნესასავით რაღაცა ხმა შემოესმათ.

— აგერ, აგერ, დაიწყო, დაიწყო,—თქვა გახარებულმა ყორანმა,—დაუგდე ყური, ის არის ისა, გალობს, დაიწყო, აბა ახლა შენ ,,ცი, როგორ ამოიყრი ჯავრს!

კვნესას წკრიალი მოჰყვა ჯერ ნელა, ნელა, დინჯათ და ბოლოს ამაღლდა ხმა ღვთიური.

სვავმა თავი აიღო და თვალები გაახილა. გაიჩმუჩნა. შუა-ღამემ მოატანა. ბულბული გალობდა და სვავიც „ოჰ, ოჰ, ოჰ“! იძახდა:—მართლაც, მართლაც გულსა ჰკოდავს, ყორანო!..

გათენდა, შეეყარა ბინდი ნათელს, ყორანი მიაშტერდა სვავს და შენიშნა, რომ წუწიანს თვალებზე ორი ცრემლი მიჰკრობოდა, დაღვრემილიყო.

— აბა, ბიძიავ, რას აპირობ, მოჰკალი, თუ შეგიძლიან. რას გარინდებულხარ, გაჩუმებულხარ? უთხრა თავ-მომწონეთ ყორანმა.

— ფიქრებში წავედი, ფიქრებმა გამიტაცეს. აღარ მინდა დანაპირები.

— მე ხომ გითხარი, ვერაფერს გაუბედავ-მეთ-ქი. ხომ გახსოვს?

— მახსოვს და არც გიტყუვნია, სთქვა სვავ-მა ამოოხვრით.

შუა დღე იქნებოდა, რომ სვავი და ყორანი დიდს ხევში ისხდნენ გვერდის-გვერდ და ლეშსა წიწკნიდნენ.